# გილოცავთ ნიკოლოზობას!

ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

18 დეკემბრიდან!
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4 +
სერია „დიდი ქართველები“
დიმიტრი ყიფიანი
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი




js[if,fsb7 !( ltrtv,thb7 @)!@ 1301 (5991) afcb5 #) stshb

# ირაკლი ოქრუაშვილმა შიმშილობა გამოაცხადა



გვ.3 თეა წულუკიანი მას პოლიტდევნილად მიიჩნევს



გვ.5

## დეპუტატებს კინაღამ ჭერი ჩამოექცათ თავზე

ხმაური ამნისტიისა და სექსუალური პროდუქციის გამო

## ვინ დანიშნავს სკოლაში მანდატურს? გვ. 6

## ნიკა გილაურიც დაკითხეს



ყოფილმა პრემიერმა ნიკა გილაურმა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ დატოვა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, გამოსვლისას გილაურმა მედიასთან მხოლოდ მცირე კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ უწყებაში მისი დაკითხვა კი არ მომხდარა, არამედ მას გაესაუბრნენ.

„ეს არ იყო დაკითხვა, არამედ ინფორმაცია აინტერესებდათ რიყის ტერიტორიასთან დაკავშირებით, მაგრამ მე ამ თემაზე არაფერი ვიცი“, – აღნიშნა გილაურმა.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური საგამოძიებო სამსახურში თითქმის 5 საათის განმავლობაში იმყოფებოდა.

ინტერპრესნიუსი




## ბიძინა ივანიშვილი: მთავრობაში საკადრო ცვლილებებს არ ვაპირებ!“ გვ.5



გვ.2

## ნაციონალებს ხუთჯვრიან დროშასართმევენ



გვ.4

## სანდრო ბრეგაძე: მკვდარი უფრო ადგება საფლავიდან, ვიდრე ნაცები დაბრუნდებიან“

10 დეკემბრიდან!
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4 +
cfmfhsdtkjc ნჯვბ $
cfvjwbmekj * კფვბ
trktcbbc bcnjhbf

**6** როგორი უნდა იყოს საატესტატო გამოცდები

**2** 1-ლი ოქტომბერი სააკაშვილის რეჟიმის დროს რეპრესირებულთა ხსოვნის დღედ გამოცხადდეს!“

**7** სოფლის მეურნეობის აღორძინებაში ამერიკა დაგვეხმარება

**6** განათლების სამინისტრო მშობელთა გააქტიურებას გეგმავს

# ნაციონალებს ხუთჯვრიან დროშას ართმევენ

შორენა მარსაგიშვილი

ნოემბერში პარტია „თავისუფალმა საქართველომ“ სახელმწიფო დროშის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა მოითხოვა. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ალეკო შალამბერიძის განცხადებით, იურიდიულ პირებს სახელმწიფო დროშის გამოყენება უნდა აეკრძალოთ.

– არ შეიძლება, სახინკლეებსა და მანქანის სამრეცხაოებზე სახელმწიფო დროშა ფრიალებდეს. უკვე დროა, ქვეყანამ სახელმწიფო დროშას პატივი სცეს, – განაცხადა ცოტა ხნის წინ ალეკო შალამბერიძემ.



„თავისუფალი საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა მაშინ ისიც დასძინა, რომ სახელმწიფო დროშის გამოყენება პოლიტიკურ პარტიებსაც უნდა აეკრძალოთ. მაშინვე გაჩნდა გონივრული ეჭვი, რომ ეს ყველაფერი ნაციონალების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. პარტიულ ღონისძიებებზე სახელმწიფო დროშას ისინი აფრიალებენ ხოლმე, რაც ძალიან არ უნდა გაგვიკვირდეს. ხუთჯვრიანი დროშა ვარდების რევოლუციამდე ნაცმოძის პარტიულ კუთვნილებას წარმოადგენდა.

ასე იყო თუ ისე, მიმდინარე წლის 21 ნოემბერს „თავისუფალმა საქართველომ“ საქართველოს პარლამენტში შეიტანა საკანონმდებლო წინადადება „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანასთან დაკავშირებით.

– მისი შემუშავება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ სახელმწიფო დროშის გამოყენება ხდება არასათანადოდ ცალკეული იურიდიული პირების მიერ. კანონპროექტით იკრძალება სახელმწიფო სიმბოლოს, სახელმწიფო დროშის გამოყენება ცალკეული ორგანიზაციების, მათ შორის პოლიტიკური პარტიების სიმბოლოდ, – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ალეკო შალამბერიძემ.

მისი თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წლების განმავლობაში თავის პარტიულ დროშად იყენებს საქართველოს სახელმწიფო დროშას.

– ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული სწორკუთხა წითელი ფერის დიდი ჯვარი; ჯვრის ვერტიკალურ-ჰორიზონტალური მკლავებით გამოყოფილ ოთხკუთხედებში გამოსახულია ოთხი იმავე ფერის, ბოლნურ-კაცხური ჯვარი, რაც არღვევს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო დოკუმენტებს სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის მკაფიო გამიჯვნის აუცილებელი ნორმების დაცვის შესახებ. საქართველოს პარლამენტთან არსებულმა ჰერალდიკის საკითხების განსახილველმა მუდმივმოქმედმა კომისიამ „თავისუფალი საქართველოს“ მიერ პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება შეისწავლა და დადებითი დასკვნა მისცა, – განმარტავს ყოფილი დეპუტატი.

„თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენლის ზაზა აბაშიძის განცხადებით კი პარლამენტის ჰერალდიკის კომისია „თავისუფალი საქართველოს“ საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით მიიჩნევს, რომ არასახელმწიფო და იურიდიული პირების სიმბოლოდ სახელმწიფო დროშის გამოყენების აკრძალვა კომისიისათვის მისაღებია და მზად არის, სახელმწიფო დროშის ცვლილების საკითხზე „თავისუფალ საქართველოსთან“ ითანამშრომლოს.

– კომისია დასაშვებად მიიჩნევს საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციების დროშების აღმართვას სახელმწიფო დროშასთან ერთად მხოლოდ სახელმწიფო დროშის გამოყენების წესების დაცვით, – ნათქვამია კომისიის დასკვნაში.

არჩევნების შემდეგ უკვე ბევრი საუბრობს სახელმწიფო დროშის შესაძლო შეცვლაზე. ყოფილი დეპუტატი ალეკო შალამბერიძე არ გამორიცხავს, რომ ასე მოხდება.

– სახელმწიფო დროშის ხშირ ცვლილებას არ მივესალმები. ამასთან, არც დიდ ტრაგედიად მიმაჩნია, თუ სახელმწიფო დროშა შეიცვლება. პარტიებს სახელმწიფო დროშის გამოყენების უფლება აღარ უნდა ჰქონდეთ. ნაციონალები თუ არ დათმობენ ამ დროშას, მაშინ სახელმწიფო დროშა უნდა შეიცვალოს, – აღნიშნა შალამბერიძემ.

ხუთჯვრიანი დროშა სახელმწიფო დროშად 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ გამოაცხადეს. მანამდე ის თბილისის საკრებულოს თავზეააფრიალა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც იმ დროს, ნაცმოძის თავკაცობის გარდა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეც იყო.

# „1-ლი ოქტომბერი სააკაშვილის რეჟიმის დროს რეპრესირებულთა ხსოვნის დღედ გამოცხადდეს!“

გულიკო ბალაძე

**„უფლებადამცველთა გაერთიანება“ ინიციატივით გამოდის, 1 ოქტომბერი სააკაშვილის რეჟიმის დროს რეპრესირებულთა ხსოვნის დღედ გამოცხადდეს. აღნიშნული ინიციატივით, „უფლებადამცველთა გაერთიანება“ პარლამენტს მიმართავს, რომ საქართველოში ეს დღე ოფიციალურად აღინიშნებოდეს.**

– 2004-2012 წლებში სააკაშვილის რეჟიმმა იმსხვერპლა უდანაშაულო ადამიანები, როგორებიც იყვნენ ბუტა რობაქიძე, სანდრო გირგვლიანი, გიორგი გამცემლიძე, ზურაბ ვაზაგაშვილი და სხვა მრავალი. უკანასკნელი 9 წლის მანძილზე ასევე ათასობით უდანაშაულო ადამიანი გაასამართლეს, რითაც ნაციონალური მოძრაობა მთელი სისასტიკით გაუსწორდა უდანაშაულო ხალხს. მისი პირველი მსხვერპლი იყვნენ ზურაბ ვაზაგაშვილი და მისი მეგობრები, რომლებიც აქ დაიხოცნენ სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან. გირგვლიანებს, ბუტა რობაქიძეს, ვაზაგაშვილსა და სხვებს სჭირდებათ სათანადო პატივის მიგება. 1 ოქტომბერს საზოგადოებამ სააკაშვილის რეჟიმსა და რეპრესიებს უარი უთხრა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, 1 ოქტომბერი რეპრესირებულთა ხსოვნის დღედ გამოცხადდეს. ოფიციალურად მივმართავთ პარლამენტს, ამ კუთხით მუშაობა დაიწყოს, რათა სააკაშვილის რეჟიმის უდანაშაულო მსხვერპლთ სათანადო პატივი მიეგოთ, – განაცხადა უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძემ გუშინ სანაპიროს ქუჩაზე, ყოფილი კორტების ადგილზე აშენებულ ახალ იუსტიციის სახლთან გამართულ პრესკონფერენციაზე.

სანაპიროს ქუჩაზე დაფა იყო, რომელსაც ეწერა, რომ ამ ადგილზე სააკაშვილის რეჟიმმა უმოწყალოდ ჩახოცა უდანაშაულო ბიჭები ზურა ვაზაგაშვილი და მისი მეგობრები. სააკაშვილის რეჟიმის პირობებში აღნიშნული დაფა რამდენჯერმე აიღეს, მაგრამ ზურა ვაზაგაშვილის მამის იური ვაზაგაშვილისა და საზოგადოების დიდი ძალისხმევით დაფა კვლავ და კვლავ იდგმებოდა სანაპიროს ქუჩაზე კორტებთან. ნიშანდობლივია, რომ სააკაშვილმა იუსტიციის სახლი სწორედ ამ ადგილზე ააშენა.

საზოგადოების პროტესტის მიუხედავად, სააკაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა გაანადგურეს თბილისელებისთვის მნიშვნელოვანი ადგილი, ჩოგბურთის კორტები. ამის რა აუცილებლობა იყო, გასაგებად ვერ ხსნიდნენ, მაგრამ ეჭვი არავის ეპარება, რომ სწორედ „ნაციონალური“ რეჟიმის მიერ ზურა ვაზაგაშვილისა და მისი მეგობრების დახოცვის ინფორმაცია მუდმივ დისკომფორტში ამყოფებდა თვით სააკაშვილს და მან მიზნად დაისახა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, აქაური გარემო შეეცვალა და ის დაფაც იქაურობისთვის მოეშორებინა.

– იმედი გვაქვს, ჩვენს თხოვნას პარლამენტი დააკმაყოფილებს, ვინაიდან დღეს, ისე, როგორც არასდროს, საჭიროა, ერი გაერთიანდეს. როდესაც ამ დღეს მთელი ერი აღნიშნავს, მთელი ერი გაერთიანდება და მთელი მსოფლიო დაინახავს, რა დიდი ზიანი მიაყენა სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა საქართველოს, – აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე.

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ უახლოეს ხანში აგრეთვე მუშაობას იწყებს წიგნზე, რომელშიც შევა ინფორმაცია სააკაშვილის მიერ ჩადენილ დანაშაულთა შესახებ. ინკოგნიტო გვარები იქნება დასახელებული, მათი ისტორიები, მათი საქმეებიდან ამონარიდები.

– უამრავი გაუხმაურებელი საქმეა, რომელსაც რეაგირება სჭირდება. მოვუწოდებთ მოსახლეობას, გაუხმაურებელი საქმეების შესახებ მოგვაწოდონ ინფორმაცია მათ შესახებ. აუცილებლად მიგვაჩნია, აღნიშნულ საქმეებს საზოგადოება გაეცნოს.

ყველამ კარგად იცის, რომ იუსტიციის სახლის ადგილზე მემორიალური დაფა იყო.

– ეს დაფა ამჟამად აღებულია. მე თუ მკითხავთ, იუსტიციის სახლთან უნდა დაიდგას არა მარტო ზურა ვაზაგაშვილის, არამედ ყველა იმ მსხვერპლის მემორიალური დაფა, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმს შეეწირნენ.

უამრავი ადამიანი მოგვმართავს, რომ მათი საქმეების შესწავლა მოხდეს. სააკაშვილის რეჟიმის პირობებში არა მხოლოდ დაიხოცნენ ადამიანები და ამოწყდნენ, არამედ უკანონოდ გასამართლდნენ და ჯანმრთელობა დაკარგეს. ფაქტობრივად, მთელი სიცოცხლე ამ რეჟიმს შეწირეს. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ეს უნდა იყოს აღნიშნული და დაფასებული. ვფიქრობთ, 1 ოქტომბერი სწორედ ის თარიღია, რომელიც რეპრესირებულთა დღედ შეიძლება გამოცხადდეს. რომ არა 1 ოქტომბერი, დღეს სააკაშვილის რეჟიმი უფრო მძლავრი, უფრო მრისხანე და უფრო სასტიკი იქნებოდა და გაგრძელდებოდა რეპრესიები.

ვინაიდან ერი გაერთიანდა რეპრესიების წინააღმდეგ, ამიტომ დასრულდა რეპრესიების ხანაც საქართველოში.

– ბატონო ნიკოლოზ, როგორც ვიცით, თქვენს ორგანიზაციას უამრავი ადამიანი მოგმართავთ, რომ დაეხმაროთ სამართლიანობის აღდგენაში და დაიცვათ მათი უფლებები. ახლახან ენდიაის წარმომადგენელმა ლუის ნავაროს რომ კვლევები გამოაქვეყნა, რომლის მონაცემით, საქართველოში სამართლიანობის აღდგენას მხოლოდ 6% ითხოვს. ამას როგორ ახსნით?

– ნავაროსა და ენდაის კვლევებთან დაკავშირებით ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება, რადგან მათი კვლევებით გამოკითხულთა უმრავლესობა მხარს უჭერდა სააკაშვილის რეჟიმს, რაც, სიმართლე გითხრათ, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ვფიქრობ, ევროპელი ლიდერებიც არ ფიქრობენ, რომ საქართველოში დღეს სამართლიანობის კუთხით რაღაც პრობლემებია და უკანონოდ ვინმეს ასამართლებენ. უბრალოდ, არის პიარტექნოლოგიები, რომლებიც ჩართული აქვს სააკაშვილს. მას იქ ჰყავს მოსყიდული ჟურნალისტები და პოლიტიკოსებიც, რომლებიც იყიდებიან. არჩევნების წინ ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარემ, მგონი, უნგრეთის წარმომადგენელი, საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ღიად დაუჭირა მხარი სააკაშვილის რეჟიმს არჩევნებში. მითხარით, რომელ ნორმაში ჯდება, როცა ერთი პარტიის წარმომადგენელი ღიად აფიქსირებს თავის პოზიციას. ეს არის ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევა. ამიტომ არ მიკვირს, თუ ის ადამიანის ამბობს, რომ რეალურად რაღაც პრობლემებია საქართველოში. ჯერ ერთი, ისიც ვთქვათ, ვინ დაიჭირეს. არავინ დაუჭერიათ, ბაჩო ახალაიას გარდა. ფაქტობრივად, დღეს პრობლემებია სწორედ იმ კუთხით, რომ რეალურად ხალხი ითხოვს უამრავი დამნაშავის სასამართლოს წინაშე წარდგენასა და დასჯას. თქვენ წარმოიდგინეთ, ვანო მერაბიშვილს, ზურაბ ადეიშვილს რომ დაიჭერენ, მერე ნახეთ „ნაციონალების“ გოდება და დაქირავებული ჟურნალისტების კრიტიკა. რეალურად, თუ ეს არ განხორციელდა, არ არის გამორიცხული, ეგვიპტის ვარიანტი გამეორდეს. კარგად მოგეხსენებათ, ეგვიპტეში სანამ მუბარაქი არ დაიჭირეს, კინაღამ მეორე რევოლუცია მოხდა. ამიტომ, ვფიქრობ, ის კრიტიკა და გამონათქვამები, თითქოს რაღაც პრობლემებია, აბსურდია. 6% კი არა, დღეს უმრავლესობა ითხოვს, სამსჯავროს წინაშე წარდგნენ მერაბიშვილი, ადეიშვილი და, რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილი, რომელიც უსამართლობის შემოქმედია. ჩვენ ერთ-ერთი პირველები ვიყავით, რომლებმაც შევიტანეთ კონკრეტული განცხადება პროკურატურაში სააკაშვილის წინააღმდეგ 1 ოქტომბრამდე მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ვინაიდან სააკაშვილმა დიდგორში, ბეშუმსა და ბახმაროში დაარღვია თანასწორუფლებიანობა (სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლია) და ვფიქრობდით, რომ ის უნდა დასჯილიყო. თუმცა, სააკაშვილის რეჟიმის პირობებში მისი დაჭერის შანსი მცირე იყო.

# „რუსეთში ფერადი რევოლუციები არ იქნება“

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის ნიკოლაი პეტრუშევის განცხადებით, რუსეთში „ფერადი რევოლუციების“ საშიშროება არ დგას.

პატრუშევის განცხადებით, რევოლუციებს ქვეყნის ხელისუფლება არ დაუშვებს, რუსი ოპოზიციონერები კი მოქალაქეების პოლიტიკურ აქტივობას იმისთვის იყენებდნენ, რომ დედაქალაქში და სხვა ქალაქებშიც მასობრივი არეულობისთვის შეეწყოთ ხელი.

ამ ფონზე, ცნობილი ტელეწამყვანი ქსენია სობჩაკი, მოძრაობა „სოლიდარობის“ წევრი ილია იაშინი, ბლოგერი ალექსეი ნავალნი და „მემარცხენე ფრონტის“ კოორდინატორი სერგეი უდალცოვი თავისუფლები არიან.

სამართალდამცავებმა ერთსაათიანი დაკითხვის შემდეგ, ოპოზიციის ლიდერები გაათავისუფლეს, ისინი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში არ დაადანაშაულეს და მხოლოდ ახსნა-განმარტების დაწერით შემოიფარგლნენ.

სობჩაკის და უდალცოვის განმარტებით, მათ სამართალდამცავები კორექტულად ექცეოდნენ, არანაირ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია, პოლიცილებთან კი მათ ჩაიც დალიეს და ლიუბიანკაზე მიმდინარე საპროტესტო აქციაც განიხილეს.

„მიუხედავად იმისა, რომ პირველად იყო პოლიციაში ყოფნა კომფორტული, მე გასაჩივრებას ვაპირებ, რის საფუძველზე დაგვაკავეს მე და ჩემი მეგობრები“, – აცხადებს უდალცოვი.

სამართალდამცავთა განმარტებით კი, ისინი მოქალაქეების არსანქცირებულ მიტინგზე შეკრების მოწოდებისთვის დააკავეს.

შეგახსენებთ, რომ რუსი ოპოზიციის ლიდერები კონსტანტინე ლებედევი და ლეონიდ რაზვოზჟაევი ამჟამად დაპატიმრებულები არიან, „მესამე ფრონტის“ კოორდინატორი სერგეი უდალცოვი კი პროკურატურამ ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილის დაწერის შემდეგ გამოუშვა. რუსეთის პროკურატურამ კი ფილმ „პროტესტის ანატომია-2“-ზე დაყრდნობით საქმე აღძრა რუსი ოპოზიციონერების წინააღმდეგ. საქმეში ქართველი პოლიტიკოსის გივი თარგამაძის სახელი და გვარიც ფიგურირებს, რომელიც თითქოსდა რუსულ ოპოზიციას აფინანსებდა. რუსულმა მხარემ საქართველოს თარგამაძესთან დაკავშირებით „საგამოძიებო თანამშრომლობა“ უკვე სთხოვა.



გერა მამულაშვილი

ახალი თაობა
[illegible]
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
[illegible]




# ირაკლი ოქრუაშვილმა შიმშილობა გამოაცხადა

## თეა წულუკიანი მას პოლიტდევნილად მიიჩნევს

შორენა მარსაგიშვილი

**ამას წინათ პარლამენტმა დიდი ტაშ-ტუშით და ნაციონალების ვაი-ვიშით ქვეყანას 190 პოლიტპატიმარი და 25 პოლიტდევნილი „აჩუქა.“ პოლიტდევნილთა სიაში თავიდან თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილიც იყო, გადამწყვეტ მომენტში კი ოქრო სიიდან ამოიღეს. მის მშობლიურ „ქართულ პარტიაში“ ამას ეკა ბესელიას აბრალებენ. ეკა ბესელია კი ამტკიცებს, რომ ოქრუაშვილმა თავად მოითხოვა ამ სიიდან ამოღება.**

გუშინ ცნობილი გახდა, რომ მატროსოვის ციხეში გამწესებულმა ოქრუაშვილმა შიმშილობა გამოაცხადა. მასთან ერთად მისი ახლობლებიც შიმშილობენ, რომლებიც წლების წინ მხოლოდ იმის გამო დააკავეს, რომ ოქრუაშვილის ნათესავები ან პირადი დაცვის წევრები იყვნენ.

როგორც ოქრუაშვილის ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა შიმშილობა 17 დეკემბერს დაიწყო, რითაც ის ე.წ. ზილების საქმეზე მოშიმშილე სხვა პირებს სოლიდარობას უცხადებს.

— ოქრუაშვილს რაიმე კონკრეტული მოთხოვნა არ აქვს. ამ ფორმით ის უბრალოდ სოლიდარობას უცხადებს იმ ბიჭებს, რომლებიც პოლიტპატიმართა სიიდან ამოიღეს ან მასში შეყვანაზე თავიდანვე უარი უთხრეს. თანაც, ე.წ. ზილების საქმეზე დაკავებული და მოშიმშილე ერთ-ერთი პირი იოსებ გიგუაშვილი ირაკლი ოქრუაშვილის საკანში ზის. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა ჩათვალა, რომ თანამესაკნის შიმშილობის პირობებში მის მიერ საკვების მიღება სწორი საქციელი არ იქნებოდა, — აღნიშნა მამუკა ჭაბაშვილმა.

„ქართული პარტიის“ ცნობით, ე.წ. მატროსოვის ციხის 26 პატიმარი,

რომლებიც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პოლიტპატიმართა სიაში შეიყვანა, ამავე სიიდან გაურკვეველი მიზეზით ამოღებული ლევან და კახა ტერაშვილების, დავით შიუკაშვილისა და შალვა საბაშვილის სოლიდარობის ნიშნად შიმშილობის გამოცხადებას აპირებს.

მათი განცხადებით, ამორალურად და გაუგონარ ცინიზმად მიაჩნიათ, თვითონ ციხიდან გავიდნენ და ეს ადამიანები, რომლებიც მათი მეგობრები და თანამებრძოლები არიან სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, საკნებში გამოკეტილი დარჩნენ.

— ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვიდექით, ერთად გადავიტანეთ წამება, დამცირება, შეურაცხყოფა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გაგვიჩნდა იმედი და რწმენა, რომ სამართალს ვიპოვიდით, ამიტომ ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია, დაუსაბუთებელი მიზეზებით ერთსა და იმავე საქმეზე დაკავებული პირებიდან ნაწილის პოლიტპატიმართა სიაში ჩასმა, ნაწილის კი — არა. თხოვნით მივმართავთ ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტსა და მის თავმჯდომარე ეკა ბესელიას, 19 დეკემბრამდე მოხდეს აღნიშნული ხარვეზის (როგორც თვითონ უწოდეს), გასწორება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მე-9 საპყრობილის ოცდაექვსი პატიმარი შეუერთდება შიმშილობის აქციას, რომელსაც ძმები ტერაშვილები და დავით შიუკაშვილი მეცხრე დღეა აგრძელებენ, — აცხადებენ პატიმრები.

განცხადებას ხელს ალექსანდრე ბიბილური, ვასილ გოგოლაძე, ალექსანდრე ერაძე, კობა კობაური, ზაზა სამხარაძე, გია სალუქვაძე, ბადრი ქველაძე, მიხეილ ცილიკაშვილი, გიორგი ალაჯანაშვილი, გიორგი ბეროშვილი, კახაბერი თოდაძე, მამუკა ბესელია, სიმონ წურიაშვილი, ფრიდონ მერებაშვილი, ვაჟა მახარაშვილი, ზაურ მაკარიძე, რევაზ მუმლაძე, ზაალ ჟვანია, ნიკოლოზ კვეზერელი, პავლე ბლიაძე, კაზანფარ მამედოვი, თორნიკე მოლაშვილი, ზაზა ყეინიშვილი, ტრისტან წითელაშვილი, გივი ექვთიმიშვილი და ილია დალაქიშვილი აწერენ.

ისე, ძალიან უცნაურია, რატომ ვერ მოხვდნენ ოქრო და მისი საძმო ამ სიაში. საქართველოში ნაციონალებსაც კი არ სჯერათ, რომ 2011 წელს ტყვიაველი ირაკლი საქართველოში ზილით რუსული სპეცრაზმის შემოყვანას აპირებდა.



უცნაურია იმიტომაც, რომ მეოცნებეთა ნაწილი პოლიტდევნილის სტატუსს იგორ გიორგაძეს აძლევს. ამტკიცებენ, რომ ის პატიოსანი კაცია და თურმე სპორტული მიღწევებიც ჰქონია.

უცნაურია ოქრუაშვილის ისე დატოვება იმიტომაც, რომ პოლიტდევნილის სტატუსი ჯემალ ქარქუსოვს მისცეს. იმ კაცს კოკოითის მთავრობაში შს მინისტრის პოსტი ეკავა და 2004 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა.

ან იქნებ იმიტომ დაიწუნეთ ოქრო, რომ მან თქვენს პოლიტდევნილ ქარქუსოვს 2004 წელს ბეტეერი აახია. სხვათა შორის, მეოცნებეებს კარგად არ აუხსნიათ, რატომ მიანიჭეს ქარქუსოვებს პოლიტდევნილის სტატუსი. განმარტება მხოლოდ მათმა დეპუტატმა რძალმა ნანა ყეენიშვილმა გააკეთა.

ბესელიასა და სხვა მეოცნებეებისაგან განსხვავებით, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ოქროს პოლიტდევნილად მიიჩნევს.

— ირაკლი ოქრუაშვილი იყო და რჩება ჩემს თვალში პოლიტიკურ დევნილად წინა ხელისუფლების მიერ, ვინაიდან ის წინა ხელისუფლებამ ძალით ჩასვა თვითმფრინავში და გააგდო პრაქტიკულად ქვეყნიდან. ეს შეიძლება შეფასდეს პოლიტიკურ დევნად. მისმა ყოფნამ შეაწუხა წინა ხელისუფლება და ის მოიშორეს თავიდან. რაც შეეხება ამჟამინდელ პატიმრობას, იმის დასადგენად, არის თუ არა დღეს ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკური პატიმარი, საჭიროა, რომ ის სისხლის სამართლის საქმე, რომელიც მის დაუსწრებლად წარიმართა, მიყვანილი იყოს ბოლომდე და გაირკვეს სიმართლე. მე როგორც ვიცი, ამისთვის დაბრუნდა სამშობლოში, რომ დაამტკიცოს სიმართლე. საამისოდ ყველა პირობა შეექმნება. რაც შეეხება შიმშილობას, მე არც ერთ პატიმარს შიმშილობას არ ვურჩევ, იმიტომ რომ თავად პატიმრობა რთული მომენტია ყველასთვის და შიმშილობით თავის დამძიმება არ ღირს, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში თეა წულუკიანმა.

# სანდრო ბრეგაძე: მკვდარი უფრო ადგება საფლავიდან, ვიდრე ნაცები დაბრუნდებიან“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ეროვნულების ერთ-ერთ ლიდერ სანდრო ბრეგაძესთან

***— ბატონო სანდრო, დასავლეთიდან სულ უფრო ხშირად ისმის სალანძღავი სიტყვები ახალი ხელისუფლების მისამართით. როგორ ფიქრობთ, რატომ აირჩია ასეთი პოლიტიკა მეგობარ ქვეყანასთან მიმართებაში?***

— აქ პასუხი არის ცალსახა. მე არ მინდა ახლა ისე გამომივიდეს, როგორც ეს ადრე ბევრ პოლიტიკოსს გამოსდიოდა, რომ არსებობს კეთილი რუსეთი და არსებობს ბოროტი რუსეთი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ჩვენდა სამწუხაროდ, არსებობს დასავლეთი, რომელიც არის პროგრესული და არსებობენ დასავლელი პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულები საქართველოს ყოფილ ხელისუფლებასთან, ანუ სააკაშვილის ხელისუფლებასთან. ის პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები და ექსპერტები, რომლებიც თავის დროზე სააკაშვილის ხელისუფლებას დემოკრატიის შუქურას უწოდებდნენ, ის ადამიანები და ის ორგანიზაციები, რომლებიც მთელი ამდენი ხნის განმავლობაში იკვებებოდნენ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ და ჩვენ წარმოჩენილი გვყავდა როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები ან პოლიტიკოსები, რა თქმა უნდა, ყველანაირ ძალას იხმარენ იმისათვის, რომ გააპრავონ თავიანთი მოსაზრებები სააკაშვილის ხელისუფლებასთან დაკავშირებით. მე პირდაპირ და ცალსახად შემიძლია განვაცხადო, უბრალოდ, ამ ეტაპზე არა მაქვს უფლებამოსილება იმისა, რომ დავასახელო ეს პოლიტიკოსები იქნებიან, დიპლომატები თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც კორუფციული სქემებით იყვნენ დაკავშირებული საქართველოს ყოფილ ხელისუფლებასთან, სააკაშვილის ხელისუფლებასთან. მე ძალიან კარგად ვიცი, ქართველი საზოგადოების ნაწილმაც იცის და პოლიტიკოსთა საკმაოდ დიდმა ნაწილმაც, რომ აქ მათ ჰქონდათ და აქვთ კიდეც საკმაოდ სერიოზული ბიზნესინტერესები. თავიანთ ქვეყანაში ისინი იმის ნახევარსაც კი ვერ იშოვიდნენ, რაც აქ, საქართველოს ტერიტორიაზე იშოვეს.

***— ანგარიშვალდებულები არიან სააკაშვილის ხელისუფლებასთან?***

— იშოვეს უკანონო ფული და, რა თქმა უნდა, ეს არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იმისა, რომ ისინი ახორციელებენ ახალ ხელისუფლებაზე სერიოზულ პოლიტიკურ შეტევას და ამავე დროს ცდილობენ სააკაშვილის ხელისუფლებისთვის იმ ლაფის ჩამორეცხვას, რომელი ლაფიც მათ საკმაოდ ბევრი აქვთ. ამას გარდა, მე მინდა ვთქვა, რომ ბიძინა ივანიშვილს გააჩნია რამდენიმე მილიარდი, რომელიც თავისი პატიოსანი ბიზნეს საქმიანობით აქვს დაგროვილი, მაგრამ არანაკლები მილიონები და მილიარდები დააგროვა სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ, ოღონდ ბიძინა ივანიშვილისგან განსხვავებით, ნაშოვნი აქვთ არაპატიოსანი გზით და საქართველოს მოსახლეობის გაღარიბების ხარჯზე. ეს არის შავი ფული. დღეს კი ამ ფინანსებს ახმარენ თავიანთ ლობისტებს ახალი ხელისუფლების გასაშავებლად. მე ვესაუბრე უცხოელებს და მათ მითხრეს, რომ აქ არის კოლოსალურ თანხებზე საუბარი და ეს თანხები იხარჯება იმისათვის, რომ მოხდეს ახალი ხელისუფლების დისკრედიტაცია და ძველი ხელისუფლების გარკვეულწილად რეაბილიტაცია მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში. როდესაც ჩვენ ამ ინტერესთა თანხვედრას შევხედავთ, ძალიან კარგად დავინახავთ, თუ რატომ ხდება უცხოეთის მხრიდან ასეთი სერიოზული ზეწოლა საქართველოს ახალ ხელისუფლებაზე. რა თქმა უნდა, დასავლეთში არიან კეთილგანწყობილი ძალებიც, თუმცა მათი ხმა იმდენად ხშირად ვერ ისმის, როგორც ამ უკანასკნელების ხმა. ეს ყველაფერი კი იწვევს დასავლური ღირებულებების დევალვაციას საქართველოს მოსახლეობის თვალში, რაც, რა თქმა უნდა, არ არის არანაირად მოსაწონი და არ არის მიზანშეწონილი.

თუნდაც იგივე ენდიაის კვლევებს რომ გამოვეხმაურო, ლუის ნავაროს ძველი კვლევები ერთგვარ სასაცილო ფაქტად იქცა საქართველოს მოსახლეობაში. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევები მიხეილ სააკაშვილის და მისი გუნდის ერთპიროვნულ გამარჯვებას ვარაუდობდა. თუმცა დავინახეთ, რეალურად რა შედეგები დადგა. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ თვითონ დასავლეთის ქვეყნებს გადასახედი აქვთ ის პერსონები, რომლებიც საქართველოსთან მიმართებაში მუშაობენ და მე ვფიქრობ, ეს გადახედვა სერიოზულ რევიზიას საჭიროებს და სერიოზულ პოლიტიკურ თუ მორალური ღირებულებების ცვლილებას საჭიროებს საქართველოსთან მიმართებაში. თუ ეს ასე არ მოხდა, ის პროცესები, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, გაგრძელდება და ჩემდა სამწუხაროდ, მოხდება დასავლელი ღირებულებების დევალვაცია საქართველოს მოსახლეობის თვალში.



***— თქვენ ენდიაის ძველ კვლევებზე საუბრობდით და ალბათ გეცოდინებათ, რომ საპირისპიროდ შემობრუნდა მათი შეხედულებები და დღეისათვის ქართული ოცნება და მათი ლიდერები ლიდერობენ ამ რეიტინგებში... როგორ ფიქრობთ, რამდენად ობიექტურია ეს კვლევები?***

— ახალი რეიტინგი ბევრად უფრო ახლო დგას არსებულ რეალობასთან, ვიდრე ის რეიტინგები, რომელსაც ენდიაი აქვეყნებდა საპარლამენტო არჩევნების წინ. ყველამ ვნახეთ, რომ საპირისპირო შედეგი დაიდო არჩევნებზე. ძველი კვლევები არ იყო სამართლიანი და არანაირად არ იყო რეალობასთან ახლოს.

***— მაშინ ახლა რატომ უნდა ვენდოთ ენდიაის კვლევებს?***

— მე არ ვამბობ, რომ უნდა ვენდოთ. უბრალოდ, დღევანდელი კვლევა ბევრად უფრო ახლოს დგას არსებულ რეალობასთან, ვიდრე ის კვლევა, რომელიც მათ ჩაატარეს მანამდე. როდესაც ნდობის ფაქტორი დაკარგულია, შემდგომში ძნელია ამ ნდობის ფაქტორის აღდგენა. ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური ორგანო, რაც კი ცნობილია საერთაშორისო ასპარეზზე და მას თვითონ ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელმძღვანელობენ საკმაოდ სერიოზული და გავლენიანი ადამიანები და მათი მიზანია, რომ ყველა ქვეყანაში, სადაც წარმოდგენილები არიან, აწარმოოს ობიექტური და სამართლიანი კვლევა და მისდამი მოსახლეობის ნდობა იყოს საკმაოდ მაღალი. სამწუხაროდ, საქართველოში ჩვენ მივიღეთ საპირისპირო შედეგი. სხვათა შორის, არც ერთ სხვა ქვეყანაში არ არის ასეთი უნდობლობა ამ ინსტიტუტის მიმართ. ერთადერთი საქართველო აღმოჩნდა, სადაც მოსახლეობა არა მარტო უნდობლობით ექცევა, არამედ სასაცილოდაც კი აქვს აგდებული მათი კვლევები. ამერიკის ეროვნულ– დემოკრატიული ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ უნდა გადახედოს იმ შემადგენლობას, რომელიც მას საქართველოში ჰყავს. ასეთი პრესტიჟული ორგანიზაციის პრესტიჟი ჩვენს ქვეყანაში დაბლა ეცემა. თუმცაღა დღევანდელმა კვლევებმა ბევრად უფრო რეალური შედეგი აჩვენა.

***— რაც შეეხება ქვეყნის შიგნით არსებულ პოლიტიკურ პროცესებს. საუბარია, რომ ნაციონალები განსაკუთრებულად ელიან აპრილის დადგომას, რადგან ეს ის პერიოდია, როცა სააკაშვილს პარლამენტის დათხოვნის უფლება აქვსო. თქვენი აზრით, ეს რამდენად რეალური და შესაძლებელია? თუ ეს უბრალოდ შანტაჟია ნაციონალების მხრიდან?***

— ნაციონალური მოძრაობა არის ხალხის ხარჯზე გამდიდრებული მილიონერების და მილიარდელების ჯგუფი. მე გვარებიც შემიძლია დაგისახელოთ. მაგალითად: ადეიშვილი, მერაბიშვილი, სააკაშვილი, ჩოჩელი და კიდევ ბევრი. ესენი არიან ოფიციალური მილიარდერები, რომლებიც აბსოლუტურად უპოვარები იყვნენ. მაგა-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# მაიქროსოფთ საქართველო“ პირატული პროგრამების წინააღმდეგ თავის უფლებებს დაიცავს

### კომპანიამ „იდუმალი მყიდველის“ პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები გაახმოვანა



დავით ასათიანი

საქართველოს პირატული პროგრამების გამოყენების მიხედვით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში უმაღლესი, ხოლო მსოფლიოში მეორე მაჩვენებელი აქვს და 91 პროცენტს აღწევს.

ეს ყველაფერი იმ კვლევის შედეგია, რომელიც „მაიქროსოფთ საქართველომ“ „იდუმალი მყიდველის“ პროგრამის ფარგლებში ჩაატარა. კვლევამ გამოავლინა პერსონალური კომპიუტერებით მოვაჭრე ის კომპანიები, რომლებიც მომხმარებელს „მაიქროსოფთის“ არალიცენზირებულ პროდუქციას სთავაზობენ.

სატელეფონო ზარებისა და პერსონალური ვიზიტებით შემოწმდა 40 მაღაზია, რომელთა შორის პერსონალური კომპიუტერი ლიცენზირებული „ვინდოუსის“ ასლებითა და აუთენტურობის დამადასტურებელი სერთიფიკატით, მხოლოდ 25 მათგანს აღმოაჩნდა. თუმცა, ამ მაღაზიებშიც კონსულტანტები თავიანთ მომხმარებელს მაინც არალიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენისკენ მოუწოდებდნენ. ხოლო შემოწმებული 15 მაღაზია კი, მომხმარებელს ღიად სთავაზობდა პროგრამული უზრუმველყოფის პირატულ ასლებს. ამასთანავე, პერსონალურ კომპიუტერებს არ გააჩნდათ აუთენტურობის დამადასტურებელი სერთიფიკატი, რომელიც პროგრამული უზრუმველყოფის ნამდვილობას მიუთითებდა.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ პერსონალური კომპიუტერებით მოვაჭრე მაღაზიების 93 პროცენტი აინსტალირებდა „მაიქროსოფთის“ პირატულ პროგრამას შესაბამისი ლიცენზიის გარეშე. ასევე 10 გამყიდველიდან 9 მომხმარებელს რეკომენდაციას აძლევდა სხვა წყაროების შესახებ, სადაც შესაძლებელი იყო არალეგარული პროგრამების უზრუნველყოფის ინსტალაცია.

ცხადია, მომხმარებელი რისკის ქვეშ დგას, რადგან მათთვის უცნობია, რომ არალიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფით, საავტორო უფლებებთან დაკავშირებული კანონი ირღვევა. ამის გარდა, მომხმარებელი მათ კომპიუტერებზე პროგრამების ფუნქციონირების შემთხვევაში, შესაძლოა, ტექნიკური და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს.

„მაიქროსოფთ საქართველომ“ თავის პარტნიორებთან ერთად სადილერო ქსელის გასაწმენდად და იმ მომხმარებელთა არაინფორმირებულობის დონის შესამცირებლად მუშაობა დაიწყო, რომლებიც პერსონალური კომპიუტერებს „მაიქროსოფთის“ პირატული პროდუქციით ყიდულობენ.

ამასთან დაკავშირებით, „მაიკროსოფთ საქართველომ“ პარტნიორებთან ერთად სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტებს „მაიქროსოფთ საქართველოს“ გენერალური დირექტორი დავით ასათიანი, „ბიზნეს სოფტვეარ ალიანსის“ იურისტი ირაკლი გვილია, პატენტების დეპარტამენტის უფროსი ზვიად მათიაშვილი, „იუჯითის“ დირექტორი გიორგი მაისურაძე და „მაიქროსოფთის“ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ოფისის ბიზნესის განვითარების დირექტორი ევგენი დანილოვი შეხვდნენ და აღნიშნულ პრობლემებზე ესაუბრნენ.

— „მაიქროსოფთი“ უკვე 2 წელია აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფოსთან, კერძო სექტორებთან და სავაჭრო ობიექტებთან. ამის მიუხედავად, საქართველო პირატული პროგრამების გამოყენებით ლიდერია მთელ მსოფლიოში. საქართველოში წელიწადში დაახლოებით 130.000 კომპიუტერი იყიდება და უმეტესობა პირატული პროგრამებით. ეს ყველაფერი ხდება იმ მაღაზიებში, რომლებსაც ყოველნაირად ვეხმარებით ტრენინგებით. არის მაღაზიები, რომლებიც მომხმარებელს ტრაილვერსიას სთავაზობს და ამით ატყუებს მათ, რადგან ამის შემდეგ ავტომატურად უბიძგებს პირატული პროგრამისკენ. მეტიც, კონსულტანტები სამსახურის შემდეგ სახლში მისვლითა და პირატული ვერსიის დაყენებასაც სთავაზობენ. ჩვენ შევიძინეთ სატესტო კომპიუტერები და აღნიშნული ფაქტები გამოვააშკარავეთ. საქმე უკვე გადავეცით შესაბამის ორგანოებს, რადგან ვთლით, რომ უკვე დადგა ამის დრო, — აღნიშნა დავით ასათიანმა.

— ჩვენი კომპანია იცავს საავტორო უფლებებს და ჩვენ წევრებს შორის „მაიქროსიფთიც“ არის. საავტორო უფლებების დარღვევის საკითხი საქართველოში მწვავედ დგას და მათ შორის „სოფთიც“ ფიგურირებს. სამწუხაროა ის , რომ საზოგადოების პასუხი არაადეკვატურია და არ იციან, რომ საავტორო უფლებების დარღვევა კანონით იჯება. ბოლო პერიოდში სახელმწიფო უკვე წამოვიდა თანამშრომლობაზე და რამდენიმე უწყებასთან უკვე გვაქვს კავშირი. სატესტო ყიდვებს კიდევ გავაგრძელებთ და შეჩერებას არ ვაპირებთ. მით უფრო, რომ საკანონმდებლო ბაზა არის შესაბამისი და არცერთ ექსპერტს არ შეეძლება დაადგინოს ლიცენზირებულია, თუ პირატული პერსონალურ კომპიუტერში დაყენებული პროგრამა, — მიაჩნია „ბიზნეს სოფტ ვეარ ალიანსის“ იურისტის ირაკლი გვილიას.

— ინტელექტუალური საკუთრების დაცვა „საქპატენტის“ მოვალეობაა და უკვე 20 წელია ამ კუთხით ვმუშაობთ. პრობლემები არის და ამის დასტურია „სოფთიც“. ცუდი ის არის, რომ საზოგადოება ამაში განსხვავებას ვერ ხედავს, — ითქვა პრესკონფერენციაზე.

**„იუჯითის“ დირექტორი გიორგი მაისურაძე:**

— აიტი ბაზარზე დიდი ხანია ვმუშაობთ და 10 წელზე მეტია „მაიქროსოფთის“ პარტნიორები ვართ. ევროპულ ქვეყნებთან შედარებით ბიზნესში სხვაობა დიდია და ამით არამარტო ჩვენ, არამედ სახელმწიფოც ზარალდება, რადგან გარკვეული თანხა არ შედის ბიუჯეტში. ამით არამარტო ჩვენი ბიზნესის, არამედ მთელი ინდუსტრიისა და ქვეყნის წინსვლა ფერხდება.

— ირკვევა, რომ მსგავსი ფაქტები განვითარებად ქვეყნებში იმ სოციალური წარსულის დანატოვარია, რომელიც მანამდე სუფევდა. ეს კი აფაერხებს ინდუსტრიის განვითარებას და გამონაკლისი არც საქართველოა. პირატული ქმედება ქვეყნის დნმ-ია და საჭიროა ინტელექტუალური საკუთრების დაცვა გააიგივოს. მოხარული ვარ, რომ დადებით ცვლილებები არის, რადგან 2 წლის წინ მსგავსი ფაქტები 95 პროცენტით იყო დაფიქსირებული. თუმცა, ტემპის ნელია და ეს იწვევს ინვესტორების შეფერხებასა და „სოფთის“ განვითარებასაც ხელს უშლის. პირატული პროგრამების წინააღმდეგ სხვადასხვა ბაზარზე 3 მიმართულებით ვმუშაობთ, ესენია: ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ცნობიერების ამაღლება; პირატული პროდუქციის გაყიდვის პრევენცია დასაწყისშივე და პირატული პროგრამების საზოგადოებაში მიწოდების საფრთხე და ნამდვილი პროგრამების პრივილეგიები, — იმედოვნებს „მაიქრსოფთის“ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ოფისის ბიზნესის განვითარების დირექტორი ევგენი დანილოვი.



ცნობილია, რომ კომპანია „მაიკროსოფთი“ 1975 წელს დაარსდა და პროგრამული უზრუნველყოფის, მომსახურებისა და გადაწყვეტების სფეროში მსოფლიო ლიდერია, რომელიც ეხმარება ადამიანებსა და ბიზნესებს სრული პოტენციალის რეალიზაციაში. „მაიკროსოფთ საქართველო“ კი, 2007 წლიდან ფუნქციონირებს. მისი მიზანია კორპორაციული კლიენტებისთვის და ფიზიკური პირებისთვის ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის შეთავაზების ხელშეწყობა.

# ბიძინა ივანიშვილი: მთავრობაში საკადრო ცვლილებებს არ ვაპირებ!“

ნათია ხურცილავა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი არ გამორიცხავს, რომ მასა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შორის შეხვედრა გაიმართოს. ივანიშვილის განცხადებით, ჯერ არ არის საუბარი იმაზე, შედგება თუ არა მისი და რუსეთის პრეზიდენტის შეხვედრა, თუმცა ივანიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში ეს შეხვედრაც დაიგეგმება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინისა და რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის შეხვედრას გამოეხმაურა და მას ძალიან საინტერესო უწოდა.

— შეხვედრა თავისთავად ძალიან საინტერესო იყო. იქ საუბარი ძირითადად იყო ჰუმანიტარულ, სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობებზე. ასევე საუბარია იმაზეც, რომ უნდა აღდგეს მუდმივი ავიარეისები რუსეთსა და საქართველოს შორის. მომავალი შეხვედრა არ დაგეგმილა, თუმცა მე ვიცი, რომ კარასინსა და აბაშიძეს სატელეფონო კავშირი აქვთ და ისიც ვიცი, რომ მომავალი შეხვედრა ყველაზე გვიან 2 თვეში შედგება, — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრი იმედოვნებს, რომ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება აუცილებლად მოხერხდება.

— ურთიერთობის დალაგებაში იგულისხმება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ეს აუცილებელია. რაც შეეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს, ბიზნესთან დაკავშირებით ბარიერები უნდა მოიხსნას. ქართული კაპიტალი უნდა განთავსდეს რუსულ ბაზარზე და რუსული კაპიტალი უნდა ჩაიდოს საქართველოში. რა თქმა უნდა, ამის გარანტი მე ვერ ვიქნები, თუმცა ბიზნესზე ბარიერების მოხსნის გარანტი უნდა იყოს კანონი, — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრი ასევე გამოეხმაურა პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას ხელისუფლებაში საკადრო ცვლილების შესახებ. ივანიშვილის განცხადებით, აღმასრულებელ ხელისუფლებაში არანაირი საკადრო ცვლილება არ იგეგმება.

ამის შესახებ პრემიერმა სასტუმრო „ამბასადორში“ უცხოელ ჟურნალისტებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.



— საკადრო ცვლილებები არ იგეგმება. კახა კალაძე გენიალური პიროვნებაა და ძალიან კარგად შეისწავლა თავისი სფერო. კმაყოფილი ვარ, რომ თავისი სამინისტროს შინაარსი კარგად იცის და სიტუაციას აკონტროლებს. სერიოზული შეცდომები არ აქვს და ძალიან მიკვირს, რატომ ჩნდება შეკითხვები საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით. ალბათ, ისევ ოპონენტები აგორებენ მსგავს ჭორებს. არჩილ კბილაშვილზეც თქვეს იგივე. კბილაშვილიც და კალაძეც ჩემთვის ძალიან საინტერესო პიროვნებები არიან. წესიერები, პატიოსნები და ცდილობენ თავისი საქმე კარგად გააკეთონ. ასევე მიკვირს, რატომ დაისვა წულუკიანთან დაკავშირებით ეს კითხვა, მასაც არ ემუქრება რაიმე. საუკეთესო ხალხი შეარჩიეს და რაღაცებს უგონებენ, — განაცხადა ივანიშვილმა და დასძინა, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში კადრები აბსოლუტურად კარგად არის შერჩეული.

ივანიშვილმა გუშინ ჟურნალისტები დაარწმუნა, რომ არავითარი საკადრო ცვლილება არ იგეგმება. პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი წამყვანი უცხოური მედიასაშუალებების წარმომადგენლებს შეხვდება.

ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან რიყესთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა. როგორც პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს სასტუმრო „ამბასადორში“, უცხოური მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა, ოდესღაც, როდესაც რიყეზე მშენებლობები იგეგმებოდა და ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მიხეილ სააკაშვილის პროექტის მნიშვნელობაში დარწმუნებას ცდილობდა.

— ვერაფერი გავაგებინე ბოლომდე ამ კაცს. ტენდერი, რომელიც რიყესთან დაკავშირებით ჩატარდა, მე დავაფინანსე და ქალაქს ვაჩუქე. ამით ვასწავლიდი სააკაშვილს, რომ მშენებლობაში დიდი როლი აქვს არქიტექტურას. ეს იყო პრეცედენტი და მე იგი ვაიძულე, დიდი პაუზა აეღო. დავპატიჟე საინტერესო არქიტექტურული ჯგუფები. ყველაზე საინტერესო პროექტი დანიელმა არქიტექტორებმა გააკეთეს. ის ძველ ქალაქს არ დაამახინჯებდა და მოედანიც არ გადაიტვირთებოდა, მაგრამ ეს პროექტი არ გამოიყენეს, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, დაუგვიანდა მუსკომედიის თეატრის გარემონტება, რადგან შენობის ფასადი არ მოსწონდა.

— იმ პერიოდში, როდესაც ის პროექტი გამომიგზავნეს, რაც ახლა შენდება, მე მათთან ნორმალური ურთიერთობა აღარ მქონდა. ძალიან მომეწონა ის ნახატი — ორი მწვანე გრაფინი იყო ქვიშაზე და შევუთვალე, რომ მათი სურვილის შემთხვევაში ამ პროექტით ავაშენებდი მუსკომედიის თეატრს. ისინი სიამოვნებით დამთანხმდნენ. მოვიწვიე არქიტექტურული ჯგუფი, რომ განევითარებინათ ნახაზები, თუმცა, როცა იმ ნახატზე გამოსახული სურათი ზომებში გადაიტანეს, მივიღეთ ის, რასაც დღეს ხედავთ. ჩემი აზრით, ეს საშინელებაა. მე ხელისუფლების წარმომადგენლებს მაშინ შევუთვალე, რომ დასრულებული შენობა არ გამოჩნდებოდა ისე, როგორც ეს ნახატზე იყო გამოსახული და გამოვიდოდა საშინელება. ამიტომ პროექტში მონაწილეობაზე უარი ვთქვი და ეს ვურჩიე პრეზიდენტსაც, თუმცა მას უკან დახევა არ სჩვევია. სასწრაფოდ უბრძანა ქალაქს, ეს აეშენებინა. იქნებ პრეზიდენტმაც და ქალაქის მერმაც კარგად გაიგონ, რომ როდესაც საქართველოში ამდენი ავარიული სახლია, ასეთ პროექტებში ფულის ხარჯვის უფლება ქალაქს არ აქვს, — განაცხადა ივანიშვილმა.

# დეპუტატებს კინაღამ ჭერი ჩამოექცათ თავზე

## ხმაური ამნისტიისა და სექსუალური პროდუქციის გამო

შორენა მარსაგიშვილი

დღეს ქუთაისში, პარლამენტის შენობის წინ, საპროტესტო აქცია გაიმართება. აქციის მონაწილეებს ალბათ დეპუტატებიც შეუერთდებიან. საუბარია იმ დეპუტატებზე, ვისაც პარლამენტის თბილისში დაბრუნება სურს. აქციით კი 2009 წლის ტრაგედიას გააპროტესტებენ. 2009 წლის 19 დეკემბერს სააკაშვილის მოთხოვნით, ქუთაისში დიდების მემორიალი ააფეთქეს. ამ აფეთქებას 2 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მემორიალის ნანგრევებზე გახლავთ დღეს პარლამენტის შენობა წამოჭიმული. აქციის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ სისხლიან ნანგრევებზე ნათელი მომავალი ვერ აშენდება.

პარლამენტის შენობა სრულად ჯერ არ გახლავთ დასრულებული. დეპუტატებს ხან თავზე აწვიმთ და ხანაც უჰაერობით უწუხდება ხალხს გული. ცოტა ხნის წინ ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე ჭერიდან გასანათებელი ხელსაწყო ჩამოვარდა. დეპუტატები მაშინ უვნებლად გადარჩნენ.

იღბალმა ჩვენს კანონმდებლებს გუშინაც გაუღიმა. თუმცა ანგელოზებიც გვარიანად დაუფრთხათ. სხდომათა დარბაზში ჭერიდან ხის დეტალი ჩამოვარდა. შეშფოთებული კანონმდებლები პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა დაამშვიდა. პირობაც მისცა, რომ თუ ვინმეს რამე დაეცემა თავში, მკურნალობის ხარჯებს ბიუჯეტი აანაზღაურებს.

რაც შეეხება პარლამენტის აქილევსის ქუსლს — ჭერს, იქიდან საფრთხე მოსალოდნელი აღარ არის. უსუფაშვილს ამის შესახებ სპეციალისტებმა უთხრეს, რომლებმაც იქაურობა საგულდაგულოდ შეამოწმეს.

თავზე ჭერისჩამოქცევას გადარჩენილი დეპუტატები ამ კვირაში ნაყოფიერად შრომობენ. ორშაბათს ბუსუსებიან პრეზერვატივზე მსჯელობით დაიღალნენ, გუშინ კი ამნისტიაზე იყო ალიაქოთი.

მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებს ამნისტიის შესახებ კანონპროექტში წარმოდგენილ სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლზე შეთანხმება გაუჭირდათ.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე კამათი საპარლამენტო ოპოზიციასა და უმრავლესობის წარმომადგენლების გარდა, უმრავლესობასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის წარმომადგენლებს შორისაც მოხდა..

შსს წინააღმდეგია, რომ სასჯელისგან 260-ე მუხლის მესამე ნაწილით და ასევე 353-ე მუხლის მეორე ნაწილით მსჯავრდებული პირები გათავისუფლდნენ. პროკურატურა კი ამნისტიის შესახებ კანონპროექტიდან 180-ე მუხლის ამოღებას ითხოვდა.

260-ე მუხლი ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენ პირებს ეხებათ, რომელთა ქმედებაც არ კვალიფიცირდება ნარკოტიკების გასაღების ნიშნით. ამის მიუხედავად, შს სამინისტროს წარმომადგენელი დავით კორახაშვილი აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში საუბარია განსაკუთრებულად დიდი ოდენობის ნარკოტიკების გადაზიდვასა და მოხმარებაზე და შსს კატეგორიული წინააღმდეგია ამნისტირება ამ ნაწილში მსჯავრდებულ ადამიანებს შეეხოს.

რაც შეეხება 353-ე მუხლის მეორე ნაწილს, ამ შემთხვევაში საუბარია პოლიციელების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებაზე, რა დროსაც ადგილი ჰქონდა ჯგუფის მიერ იძულებას და იძულებით მუქარას. შს სამინისტრო მიიჩნევს, რომ ამ ქმედების გამო დაპატიმრებული პირების ამნისტირება ბიძგს მისცემს შემდგომში აღნიშნული დანაშაულის ჩადენას. შს სამინისტროს პოზიცია არ გაიზიარეს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლებმა. მათ უწყებას მოსთხოვეს, რომ პოზიცია მეტი არგუმენტით და დასაბუთებით ყოფილიყო გამყარებული.

რაც შეეხება 180-ე მუხლს, მასში საუბარია თაღლითობის გამო მსჯავრდებულ პირებზე. პროკურატურა მიიჩნევს, რომ 180-ე მუხლი მთლიანად არ შეიძლება ამნისტირებული იყოს. პროკურატურა პარლამენტს სთავაზობს, რომ მოხდეს 180-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით მსჯავრდებულ პირთა სასჯელის განახევრება, მაგრამ არა გათავისუფლება.

დიდი სჯა-ბაასის შემდეგ მხარეებმა შეთანხმებას მაინც მიაღწიეს. იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე შალვა შავგულიძის განმარტებით, ამნისტია გარკვეული ფორმით ყველა მსჯავრდებულსა და პატიმარს შეეხება, გარდა იმ პირებისა, რომელთაც მუდმივი პატიმრობა აქვთ მისჯილი.

„ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორის, ეკა ბესელიას წინადადების გათვალისწინებით, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა გუშინდელ სხდომაზე პროექტის მე-17 მუხლის კორექტირების გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნული მუხლის პირველადი ვარიანტის თანახმად, პატიმრებს, რომლებზეც „ამნისტიის პროექტის“ 1-16-ე მუხლების მოქმედება არ ვრცელდებოდა, სასჯელი ერთი მეოთხედით უნდა შემსუბუქებოდა, თუმცა, ამ თვალსაზრისითაც არსებობდა გამონაკლისი სსკ-ის მუხლები და პროექტის მე-17 მუხლი წარმოდგენილი იყო დათქმით, რომლის თანახმადაც, სასჯელის ერთი მეოთხედით შემსუბუქება არ ეხებოდათ სსკ-ის 108-ე, 109-ე, 137-ე მუხლის IV და V პუნქტებით, 138-ე მუხლის IV და V პუნქტებით და 323-ე მუხლის III ნაწილით მსჯავრდებულებს.

— იურიდიულ საკითხთა კომიტეტი მხარს უჭერს მე-17 მუხლის აღნიშნული დათქმის გარეშე მიღებას. როგორც აღმოჩნდა და დადასტურდა, საქართველოს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში არაადეკვატურად მძიმე პირობები იყო და ხდებოდა ის, რაც წესით არ შეიძლება ციხეებში ხდებოდეს. აქედან გამომდინარე, ამნისტია რაღაც ნაწილით ყველა მსჯავრდებულსა და პატიმარს უნდა შეეხოს. სწორედ ეს არის არგუმენტი, რომლის საფუძველზეც მე-17 მუხლის კორექტირების გადაწყვეტილება მივიღეთ, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ შალვა შავგულიძემ.

სასჯელის ერთი მეოთხედით შემსუბუქება მხოლოდ ისეთ მსჯავრდებულებს ვერ შეეხებათ, რომელთა მიმართ „სისხლის სამართლის კოდექსით“ თავისუფლების უვადოდ აღკვეთაა გათვალისწინებული.

# სანდრო ბრეგაძე: მკვდარი უფრო ადგება საფლავიდან, ვიდრე ნაცები დაბრუნდებიან“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ლითად, მე, მერაბიშვილი და სააკაშვილი ერთად ვიყავით საქართველოს პარლამენტში და მაშინ მართლაც გაღლეტილები იყვნენ ეს ადამიანები და უცებ იქცნენ მილიონერებად და მილიარდერებად. ამხელა სიმდიდრის მქონე ადამიანები, რა თქმა უნდა, არ აპირებენ ციხეში წასვლას და ამავე დროს აქვთ იმის სურვილი, რომ როგორმე დაიბრუნონ ის ძალაუფლება, რომელი ძალაუფლებაც მათ ჰქონდათ. ეს გეგმა არსებობს და ამისთვის ისინი იბრძოლებენ. თუმცა ასეთივე გეგმა იყო არჩევნების წინაც, რომ არჩევნები სერიოზულად უნდა გაყალბებულიყო, მაგრამ ვერ გააყალბეს. უფრო ზუსტად, გააყალბეს, მაგრამ იმდენად დიდი იყო მოსახლეობის მხარდაჭერა ქართული ოცნების მიმართ, იმდენი ვეღარ გააყალბეს, რომ გამარჯვება დაეწერათ. შემდგომში იყო გეგმა იმისა, რომ არჩევნების მეორე დღეს უნდა მომხდარიყო არეულობა და ესეც არ განხორციელდა. შემდგომში იყო გეგმა იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლებები შეენარჩუნებინათ და ცენტრალური ხელისუფლება წაერთმიათ ქართული ოცნებისთვის. ესეც ვერ განხორციელდა, ჩვენ ვხედავთ, რომ თვითონ ადგილებზე როგორი პროცესები მიმდინარეობს. ანუ იმის თქმა მინდა, რომ ეს მათი განუხორციელებელი გეგმა არის. მცდელობები იქნება, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის მობრუნება ეს არის ბევრად უფრო არარეალური, ვიდრე ის, რომ მკვდარი საფლავიდან აღდგეს. მკვდარი უფრო ადგება საფლავიდან, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა დაბრუნდება ხელისუფლებაში. მათ არანაირი რესურსი, გარდა ფინანსური რესურსისა, არ გააჩნიათ. მათდამი არანაირი ნდობა არ არსებობს და უარესსაც გეტყვით, მათდამი ზიზღი არსებობს. დღეს ჩვენ უფრო დიდ და უფრო საფუძვლიან პრობლემასთან გვაქვს საქმე.

***— ამაში რას გულისხმობთ?***

— ეს არის ოპოზიციის არარსებობა პარლამენტში. იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობა, როგორც პოლიტიკური პარტია აღარ არსებობს და ვერც იქნება, იმიტომ, რომ დამნაშავეებისგან შეკრებილი პოლიტიკური კლანი, რა თქმა უნდა, ვერ იქნება ოპოზიციური პარტია. ძალიან დიდი პრობლემაა, რომ ოპოზიციის არარსებობაა პარლამენტში. დღეს საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იფიქროს იმაზე, რომ უნდა გაიხსნას დიდი ოპოზიციური პოლიტიკური ველი საქართველოში, რომელი პოლიტიკური ველიც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ საქართველოში იყოს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა და ახალი პოლიტიკური სისტემა არ დაემსგავსოს იმ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც თავის დროზე ნაციონალურმა მოძრაობამ ჩამოაყალიბა. ნაციონალური მოძრაობა როდესაც მოვიდა ხელისუფლებაში, მან მთლიანად უზურპირება მოახდინა ხელისუფლებისა და პარლამენტისაც კი. ერთადერთი ოპოზიციური ძალა, რომელიც მან დაიტოვა პარლამენტში, ეს იყო ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, რომელიც თავიდან ბოლომდე მისი სატელიტი იყო და უტყვი შემსრულებელი მისი ნება-სურვილისა. სხვათა შორის, ამან კიდევ უფრო დააჩქარა ნაციონალური მოძრაობის კრახი. იმიტომ, რომ მაშინ, როცა პარლამენტში არ არსებობს ოპოზიცია, როდესაც პარლამენტში არ არის პოლიტიკური ველი, რა თქმა უნდა, ამ დროს ბევრად უფრო ჩქარდება ხელისუფლების ცვლილება. ჩემი ღრმა რწმენით, უნდა მოხდეს ერთი რამ, ნაციონალური მოძრაობა, როგორც ასეთი, უნდა ჩამოშორდეს პოლიტიკურ მოღვაწეობას, ხოლო ოპოზიციური პოლიტიკური ველი უნდა დაიკავოს იმ შედარებით პატიოსანმა პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც არსებობენ საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში. ასეთია, მაგალითად, ნინო ბურჯანაძის პარტია, ასეთი არის კახა კუკავას პოლიტიკური გუნდი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, მაგრამ არამც და არამც ნაციონალური მოძრაობა. ნაციონალური მოძრაობა, ჯერ ერთი, ოპოზიცია ვერ იქნება და მეორეც, ის არის რევანშისტული დანაშაულებრივი ძალა, რომელი დანაშაულებრივი ძალაც აპირებს უკანონო გზებით ხელისუფლების ისევ უკან დაბრუნებას. აი, ამიტომ არის ეს აუცილებელი.

***— კი მაგრამ, როგორ უნდა მოხდეს ეს, როდესაც არჩევნები უკვე ჩატარებულია და ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციადაა წარმოდგენილი პარლამენტში?***

— მე გეტყვით თუ როგორ უნდა მოხდეს ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური ველიდან განდევნა, რადგან ეს არის პოლიტიკური ცხოვრებისთვის აუცილებელი რამ. ეს აბსოლუტურად უმტკივნეულოდ მოხდება იმ შემთხვევაში თუკი ბიძინა ივანიშვილის თაოსნობით თებერვალში ან მარტის დასაწყისში დაინიშნება საპარლამენტო არჩევნები. თუკი დაინიშნება ახალი საპარლამენტო არჩევნები, მე გაძლევთ თქვენ იმის ასპროცენტიან გარანტიას, რომ ნაციონალური მოძრაობა ვერ გადალახავს იმ ბარიერს, რომელი ბარიერიც საჭიროა პარლამენტში შესასვლელად. მე ვეხმაურები ენდიაის კვლევას, სადაც 30% ენდობა მიხეილ სააკაშვილს. შანსი არ არის, რომ დღევანდელ საქართველოში 30%-იანი ნდობა ჰქონდეს მიხეილ სააკაშვილს. ამის არანაირი შანსი არ არის. როგორც იმის შანსი არ არის, რომ ის ხმები, რაც მოიპოვა ნაციონალურმა მოძრაობამ საპარლამენტო არჩევნების დროს, ეს იყოს რეალური. იმისათვის, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ აღარ იარსებოს პოლიტიკურ ველზე, ამისათვის აბსოლუტურად კანონიერი და დემოკრატიულია ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, სადაც დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს პოლიტიკური ძალა, რომელსაც ქართული ოცნება ჰქვია, მაგრამ ამავე დროს ნაციონალური მოძრაობის მაგივრად საქართველოს პარლამენტში შევლენ ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც ბევრად უფრო მეტად იმსახურებენ პარლამენტში ყოფნას, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა.

***— ბატონო სანდრო, რამდენად აწყობს დღევანდელ ხელისუფლებას ვადამდელი არჩევნები? რამდენად წავლენ ამაზე?***

— მე არ ვიცი წავლენ თუ არ წავლენ, ამის თაობაზე არ მქონია ბატონ ბიძინასთან კონსულტაციები და არც ქართულ ოცნებასთან. პირველად თქვენთან ვაჟღერებ ამას, თუმცა ამის შესახებ ბატონ ბიძინასთან აუცილებლად ვისაუბრებ. რამდენად აწყობსო მკითხეთ, ხელისუფლებას ეს უნდა აწყობდეს, რადგან ჩამოცილებული იქნება რევანშისტული ძალა, ის ძალა, რომელიც არანაირ ავანტიურაზე უკან არ დაიხევს. რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები გამოიწვევს ამ პოლიტიკური ძალის პარლამენტიდან გაქრობას. თუკი მოსახლეობა მისცემს მას ხმას, გადალახავს ბარიერს და ექნება 6-7%, კი ბატონო, შევიდნენ პარლამენტში, მაგრამ სად 6-7% და სად 40-45%, რომელიც დღეს ნაციონალურ მოძრაობას აქვს პარლამენტში. პოლიტიკური თანაარსებობა შესაძლებელია იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც არ არის დამნაშავე. როდესაც დღეს კოჰაბიტაციაზე საუბრობენ, კოჰაბიტაცია დანაშაულებრივ ძალასთან მე არარეალურად მიმაჩნია. არჩევნები უნდა ჩატარდეს აუცილებლად თუ გვინდა მივიღოთ დემოკრატიული და სამართლიანი პროცესები. სხვებს უფრო ბევრად აქვთ იმის მორალური უფლება, იწოდებოდნენ საპარლამენტო ოპოზიციად, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა.

# ვინ დანიშნავს სკოლაში მანდატურს?

მერი ნამორაძე

მანდატურის სამსახურის გარშემო ვნებათაღელვა კვლავ გრძელდება. მაშინ, როცა ყველა შეთანხმდა იმ საკითხზე, რომ ეს სამსახური პოლიტიკური მიზნების განხორციელებისგან უნდა გათავისუფლდეს, ამჯერად აზრთა სხვადასხვაობა იმან გამოიწვია, თუ ვინ უნდა დანიშნოს მანდატური – სკოლამ თუ განათლების სამინისტრომ. ,,ნიუს-ჯი“ -ს ინფორმაციით, საკითხზე ერთიანი შეთანხმება განათლების კო-

„მანდატურის სამსახური უნდა არსებობდეს, რადგან საუბარია 22 000-დან 25 000-მდე ადამიანზე, რომლებიც ამ საჯარო იურიდიულ პირში არიან დასაქმებული. შეუთანხმებლობას იწვევს მანდატურის დანიშვნის საკითხი. მე პირადად ვფიქრობ, რომ კარგი იქნება კომპრომისული ვარიანტი მივიღოთ. კერძოდ, სკოლის დირექტორი და განათლების სამინისტრო ერთად უნდა წყვეტდნენ, ვინ უნდა იყოს მანდატური, – თქვა განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ელისო ჩაფიძემ. ჩაფიძის თქმით, მანდატური უნ-



მიტეტს და განათლების სამინისტროს გაუჭირდათ. განათლების უწყების მიერ პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტით მანდატურს სწორედ ეს უკანასკნელი ნიშნავს. კომიტეტში კი მიიჩნევენ, რომ მანდატური სკოლამ უნდა დანიშნოს.

მანდატურებს მშვიდად ძილის საშუალება მას შემდეგ მიეცათ, როცა მათი სკოლებში დატოვება გადაწყდა. ახალი ხელისუფლება, რომელიც სოციალური პრობლემების მოგვარებას ანიჭებს უპირატესობას, ერთბაშად სკოლის მანდატურის სამსახურს ვერ გააუქმებდა და ათასობით დასაქმებულ ადამიანს ლუკმაპურის გარეშე ვერ დატოვებდა. საუბარია 25 ათასამდე ადამიანზე, რომელიც ამ საჯარო იურიდიულ პირში არიან დასაქმებულნი. თუმცა, მათ მცირე ნაწილს, რომლებიც კერძო სკოლებში მუშაობენ, მაინც ემუქრებათ უმუშევრობა. ამის შესახებ მანდატურის სამსახურის უფროსმა, ლევან აბაშიძემ, თავად განაცხადა და დასძინა, რომ კერძო სკოლებს აიძულებდნენ მანდატურები აეყვანათ. ახალი წლიდან კი კერძო სკოლები ამ ვალდებულებისგან გათავისუფლებას გეგმავენ.

და იყოს სკოლის მეგობარი, უსაფრთხოების დამცველი, ფსიქოლოგი ადამიანი, რომელიც კომუნიკაციაშია მოსწავლეებთან და არ არღვევს მათ უფლებებს, – აღნიშნავს ჩაფიძე. მანდატურების მოსწავლეებთან მეგობრობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ რამდენიმე თვის წინ დერეფნებში არხეინად მოსეირნე მანდატურები მათი ყოფნა-არყოფნის შესახებ აჟიოტაჟის შემდეგ ისე შეიყუჟნენ ოთახებში, აღარც სამეგობროდ გადიან ბავშვებთან და აღარც შენიშვნის მისაცემად. ისიც ფაქტია, რომ მათ ვერც ფსიქოლოგი ჩაანაცვლეს სკოლაში და ვერც ექიმ-ექთანი. არადა, სამსახურის შექმნისას საუბარი იყო იმაზე, რომ პირველადი დახმარების აღმოჩენა უნდა შეეთავსებინათ მანდატურებს. როგორც ჩანს, ძველი ხელისუფლება იმდენად გაერთო პედაგოგთა დევნა-შევიწროებით მანდატურების ხელით, რომ მათ უპირველესი მოვალეობა დაავიწყა. თუ საქმე საქმეზე მიდგა და სკოლებმა გადაწყვიტეს მანდატურების შერჩევა, არც ის არის გამორიცხული, პედაგოგებმა „ძველი ცოდვები“ გაუხსენონ ზოგიერთ მანდატურს, მაგალითად, თითიდან გამოწოვილი ოქმების ამბები.

# როგორი უნდა იყოს საატესტატო გამოცდები

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

**2013 წლის მაისში უკვე 18 წელს გადაცილებული მოსწავლეები საჯარო სკოლებს დაემშვიდობებიან. მანამ თორმეტწლიანი შრომის დამადასტურებელ დოკუმენტს, ატესტატს, აიღებენ, მანამდე 8 გამოცდის ჩაბარება მოუწევთ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს.**

თუ ვინმე თვალს ადევნებდა ბოლო ათწლეულებში საშუალო სკოლის ცხოვრების მაჯისცემას, ემახსოვრებათ, რომ იყო წლები, როცა კომუნისტური ეპოქიდან ინერცირებული გამოცდების სახით იცდებოდნენ მოსწავლეები, მერე–სამინისტროდან გამოგზავნილი ტესტებით, ელექტრონული ფორმატითაც და უგამოცდოდ ,,გამძვრალი“ წლები ხო სასიამოვნო იყო!

საბჭოური სკოლების ერთ-ერთი მთავარი დადებითი მხარე იყო ჩამოყალიბებული საგანმანათლებო პოლიტიკა. მართალია, განათლების სპეციალისტები ამბობენ, რომ საბჭოური განათლება იყო ნაკლოვანი მხარეებით ცნობილი (ყველაზე დიდი მინუსი ბიჰევერიონისტული მოდელი და ცოდნის დაგროვებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლება იყოო), მაგრამ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დღესაც ასე ამბობს: ,,სწავლა იყო მაშინ!“

ტესტები, რომლებიც განათლების სამინისტროდან დახურული პაკეტებით მოდიოდა და ძირითადად იყო ე.წ. ,,დახურული პასუხებით“, რაც სავარაუდო პასუხებიდან ერთი პასუხის ნომრის შემოხაზვას გულსხმობდა, კრიტიკას ვერ უძლებდა. ზოგჯერ პაკეტის მთლიანობა იყო დარღვეული, ზოგჯერ კი კოჭი ალჩუზე უსხდებოდა სუსტ მოსწავლეებსაც კი და სწორ პასუხებს ალალბედზე აღნიშნავდნენ.

რაც შეეხება ელექტრონული ფორმატით გამოცდას, არც ის აღმოჩნდა გამოცდის საუკეთესო ფორმა, რადგან ხარვეზები აღმოჩნდა ტექნიკური თვალსაზრისითა და შედეგების აღიარებითაც(მაია მიმინოშვილის განცხადება გემახსოვრებათ–გაცემული იყოო რამდენიმე ასეული ყალბი ატეს-




ტატი გამოცდების შედეგების გაყალბების ხარჯზე).

ზეპირი გამოცდების ფორმა, რომელიც კომუნისტების დროს არსებობდა, დღეს უარყოფილია. საბჭოთა ეპოქაში ყველაზე წარმატებულად ზეპირი გამოცდებისას ხეირობდნენ: ბილეთის დანიშვნა ხელს აძლევდა მოსწავლესაც და მასწავლებელსაც. დაახლოებით 25 ბილეთის საკითხების დამახსოვრება-დასწავლა ბევრ დროსა და უნარს მოითხოვდა. სასკოლო კორუფცია-მექრთამეობა ყვაოდა ლოკალურ დონეზე. მოსწავლეებს სასურველი ნიშანი გაჰქონდათ გამოცდიდან, ხოლო გამომცდელების მატერიალური მდგომარეობა უმჯობესდებოდა.

რაც შეეხებოდა წერილობით გამოცდებს, ამ შემთხვევაში გამომცდელებსაც და მოსწავლეებსაც თავსატეხი ემატებოდათ, რადგან წერილობითი დოკუმენტი დამოკლეს მახვილად ეკიდა სკოლის ჭერზე. ასეთი გამოცდის დროს ყველაზე აპრობირებული იყო ,,შპარგალკა“ ცრუწარმატების მისაღწევად.

ტესტური გამოცდის უარყოფითი მხარეებიდან აღსანიშნავია ის, რომ მოსწავლეებს უწევთ საკითხიდან საკითხზე ,,ხტომა“, ამავდროულად, მოსალოდნელია ,,შაშის დაჯდომის“ ეფექტი.

ტესტების შედგენა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ტესტის შექმნის დროს გასათვალისწინებელია კითხვის დასმის ტექნიკა და პასუხების შერჩევაც. ბევრჯერ შექმნილა მარტივი და რთული ტესტები, რაც თავისთავად გულისხმობს ორ უკიდურესობას. ამიტომ აუცილებელია, რომ ტესტის შექმნის დროს გათვალისწინებული იყოს ასაკობრივ-ფსიქოლოგიური მომენტები. ვიწროსაგნობრივი სპეციალისტების გარდა ნებისმიერი საგამოცდო ტესტის შექმნისას ფსიქოლოგების ჩარევაც აუცილებელია. საგნის სპეციალისტმა უნდა შექმნას ტესტის მონახაზი, თუმცა ფსიქოლოგებმა უნდა მისცენ ტესტს საბოლოო სახე.

ექვსი თვე რჩება მოსწავლეთა გამოცდების დაწყებამდე. მოსწავლეებს მოტივაცია ასე თუ ისე იზრდება. სკოლებს მიეცათ უფლება, რომ რვა გამოცდის ფორმა და შინაარსი თავად განსაზღვრონ. მასწავლებლები, რასაკვირველია, ეცდებიან, რომ წლის ბოლოს ნაკლები საშრომი ჰქონდეთ. მოსწავლეებისთვისაც სასურველია, რომ შეჩვეული პედაგოგის მიერ შექმნილ საგამოცდო მასალას შეეჭიდონ.

ზოგიერთი პედაგოგისთვის სკოლაში მასწავლებლის მიერ ჩატარებული გამოცდა ზემდგომთა მიერ მათდამი ნდობას გამოხატავს, ზოგიერთისათვის ეს პროფესიული ღირსებაა (თუ სწავლების უფლება აქვს, ნასწავლის შეფასების უფლებაც უნდა ჰქონდეს, ყველა პედაგოგი გაკვეთილის მიმდინარეობის ან ფინალის დროს მაინც აკეთებს შეფასებას), თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც: გამოცდა უნდა მოხდეს ,,გარედან“, რათა კარგად გამოიკვეთოს სკოლის რეალური სახე. ,,გარედან გამომცდელი“ რამდენად კარგად გამოცდის მოსწავლეს, ეს უკვე ცალკე დავის საგნად იქცეს.

მშობლები თვლიან, რომ მასწავლებელი მოსწავლეს სწორედ იმაში გამოცდის, რაც ასწავლა.

იდეალური საგამოცდო ფორმის მოძებნა ძალიან გაჭირდება, მაგრამ 2013 წლის მაისიდან საატესტატო გამოცდები ძალიან დიდი კრიტიკის საგანი რომ გახდება, ამაზე წინასწარ დაფიქრება აჯობებს. ამ საკითხზე პრაქტიკოსი მასწავლებლების მოსმენა აჯობებს, რადგან კაბინეტებიდან ბევრად უფრო იოლი ჩანს ყველაფერი.

# განათლების სამინისტრო მშობელთა გააქტიურებას გეგმავს

მერი ნამორაძე

**განათლების სამინისტრო სკოლის ცხოვრებაში მშობელთა აქტიურ ჩართვას ცდილობს. სამინისტრო პროექტს „ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და თანასწორობის უზრუნველყოფა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში“ ახორციელებს, რომლის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის სტრატეგიის დანერგვის ხელშეწყობა იქნება. ამ თემასთან დაკავშირებით მინისტრის მოადგილე ალუდა გოგლიჩიძემ და სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსმა ნათია ჯოხაძემ ერთობლივი ბრიფინგი გამართეს.**

რამდენად გაამართლებს მცდელობა, მშობლები აქტიურად დაინტერესდნენ შვილების ყოფა-ცხოვრებით საჯარო სკოლებში, რამდენიმე თვეში გამოჩნდება. ფაქტია, რომ მშობლები შვილების ბედით სკოლებში დაწყებით კლასში ყოფნისას უფრო აქტიურად ინტერესდებიან. სწავლების უფრო მა-



ღალ საფეხურზე გადასვლის შემდეგ კი მხოლოდ პედაგოგთა ამარა ტოვებენ და ზოგს ტრიმესტრ-სემესტრის ბოლოსაც კი არ ახსენდება, როგორია ბავშვის აკადემიური მოსწრება, სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობა და ასე შემდეგ. საკლასო კრებაზე 30 მშობლის ნაცვლად რომ 5 გამოცხადდება, ცხადია, რომ კომუნიკაცია მშობელსა და შვილს შორის აღარ არსებობს.

ნებისმიერი ფსიქოლოგი იტყვის, რომ მოსწავლეთა წარმატებისთვის მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მშობელსა და სკოლას შორის დამყარებული კეთილგანწყობაა. როგორც განათლების სამინისტროში ამბობენ, გამოკვლევების თანახმად, რაც უფრო მეტადაა ჩართული მშობელი შვილის სწავლებისა და განათლების მიღების პროცესში, ესაუბრება მას განათლების მიღების მნიშვნელობაზე, საჭიროების შემთხვევაში ეხმარება მას სწავლების პროცესში შექმნილი პრობლემების გადალახვაში, მით უფრო მკვეთრად იზრდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება სკოლაში. იზრდება მოსწავლის მოტივაცია, ბავშვს მეტად უყალიბდება სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება, იზრდება სასკოლო გეგმაში დასახული მიზნების შესრულების ხარისხი, სკოლისა და მასწავლებლის ავტორიტეტი.

პროექტის ფარგლებში სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის სასწავლო გეგმის ექსპერტები და განათლების ფსიქოლოგები 17-დან 21 დეკემბრის ჩათვლით თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, ხაშურის, გორის, რუსთავის, ლაგოდეხის და თელავის საჯარო სკოლების პედაგოგებთან და მოსწავლეთა მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრებს გამართავენ. დაიბეჭდება საინფორმაციო ბუკლეტი მშობლებისთვის, შეიქმნება ელექტრონული ფოსტა, რომელზეც ყველა მშობელს და დაინტერესებულ პირს შეეძლება შეკითხვების გაგზავნა. სამინისტრო მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდის მიზნით აპირებს როგორც კვლევით საქმიანობას, ასევე მეთოდოლოგიურ მუშაობას. რას ფიქრობენ პროფესიონალები მშობელთა აქტიურობაზე? „ახალი თაობა“ №4 საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ხათუნა ქოთოლაშვილს ესაუბრა:

ხათუნა ქოთოლაშვილი:

– სკოლის შინაგანაწესში ზოგადად მშობლის უფლება-მოვალეობები არ შედიოდა. სკოლის ახალ შინაგანაწესზე მუშაობისას სამეურვეო საბჭოზე განვიხილეთ, მოსწავლეთა თვითმმართველობას გავაცანით და ჩავდეთ მშობლის უფლება-მოვალეობები. შეიძლება ბევრი რამ, რასაც მოსთხოვ, არ გააკეთოს მშობელმა, მაგრამ ის მუდამ ემახსოვრება, რომ რაღაც ევალება, რაღაცის უფლება და რაღაცის მოვალეობა აქვს. მშობლების ჩართულობის გარეშე მუშაობა ძალიან გაგვიჭირდება.

***– კონკრეტულად რა მოვალეობები დააკისრეთ მშობლებს შინაგანაწესით?***

– ის, რომ უნდა უზრუნველყოს შვილის დროულად გამოცხადება სკოლაში. ის, რომ უნდა უზრუნველყოს ბავშვი სწავლებისათვის საჭირო ყველა ნივთით. ვუხსნით, რომ კონსტიტუცია ავალებს, საბაზო განათლება მისცეს ბავშვს. ვალდებულებაში გვაქვს, რომ მშობელმა მჭიდროდ ითანამშრომლოს სკოლასთან და მიაწოდოს სკოლას მოთხოვნის საფუძველზე საჭირო ინფორმაცია. წინასწარ გაგვაფრთხილოს ბავშვის სკოლაში გამოუცხადებლობის შესახებ. პირველი გაკვეთილის შემდეგ ჩვენ მონიტორინგს ვატარებთ და თუ არ არის ბავშვი და არც გაფრთხილებულია მასწავლებელი, მაშინვე ვრეკავთ მშობელთან. ვალდებულებაში ჩავდეთ, რომ ყოველ პარასკევს მოვიდნენ. მშობელმა იცის, რომ არ უნდა მიაყენოს სკოლას ზარალი, საგაკვეთილო პროცესიდან ბავშვი არ უნდა გამოიყვანოს...... სასწავლო პროცესის დაწყების პირველივე დღიდან ამ შინაგანაწესს ვაცნობთ მშობლებს და თან ხელს აწერენ, რომ თანახმანი არიან ასეთ თანამშრომლობაზე. ზოგჯერ არ სრულდება ეს ისე, როგორც წესი და რიგია.

***– რთული მოსწავლეების მშობლებთან თანამშრომლობაზე რას გვეტყვით?***

– მე-6 კლასში გვყავს რთული მოსწავლე, განათლების სამინისტროს სოციალურ მუშაკთან გვაქვს კავშირი. ამ ბავშვის მშობელი დარწმუნდა, რომ თავად არ შეუძლია ბავშვის გაკონტროლება და თხოვნით მოგვმართა გადაგვეყვანა სამტრედიის სკოლაში. რთულ მოსწავლეებთან სამუშაო რთულია, მაგრამ როცა მშობელი თანამშრომლობაზე მოდის, შედეგი უფრო მეტია.

***– რამდენად აუცილებელია ფსიქოლოგი სკოლაში?***

– ფსიქოლოგი არ გვყავს, გვყავს ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობს. ნამდვილად აუცილებელია ფსიქოლოგი. ოღონდ ისეთი, რომელიც სულ იქნება სკოლაში, იქნება არა მცირე განაკვეთზე, არამედ სრულ განაკვეთზე.

# სოფლის მეურნეობის აღორძინებაში ამერიკა დაგვეხმარება



ნათია ხურცილავა

**სოფლის მეურნეობის მინისტრმას დავით კირვალიძემ პრესკონფერენცია გამართა და რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნების საკითხებზე ისაუბრა.**

– რუსულ მხარეს აინტერესებს, შეუშლის თუ არა ხელს საქართველოს ხელისუფლება ქართული ბიზნესის რუსულ ბაზარზე დაბრუნებას, – განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ.

კირვალიძის განცხადებით, გენადი ონიშენკოს უწყების წარმომადგენლები საქართველოში ჯერ არ ჩამოსულან. – მე არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლებელია, ვინმე იყო ჩამოსული რომელიმე კერძო საწარმოს შესამოწმებლად. რამდენჯერმე გაკეთდა განცხადება რუსული მხრიდან მზადყოფნასთან დაკავშირებით. იყო შემოთავაზება და იყო ორი კითხვა, პირველი – შეუშლის თუ არა ხელს ახალი ხელისუფლება იმ ბიზნესებს, რომლებიც გამოხატავენ რუსულ ბაზარზე დაბრუნების სურვილს და მეორე – მზად არის თუ არა ქართული მხარე, მიიღოს მაკონტროლებელი ექსპერტები რუსეთიდან. ამაზე ჩვენ გავეცით პასუხი, რომ ახალი ხელისუფლება არა თუ შეუშლის ხელს, არამედ ხელს შეუწყობს ბიზნესს, ვინც გამოთქვამს რუსულ ბაზარზე დაბრუნების სურვილს, – აღნიშნა კირვალიძემ.

სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით, „მეღვინეთა ასოციაციამ" და ბიზნესფედერაციამ რუსეთის მხარეს ოფიციალურად წერილობით მიმართეს იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული მხარე მზად არის, მიიღოს ექსპერტები, რომლებიც შეამოწმებენ ადგილზე ქართულ საწარმოებს.

კირვალიძის ცნობით, ამის შემდეგ მათ პასუხი ოფიციალურ დონეზე არ მიუღიათ. თუმცა, კირვალიძე იმედს გამოთქვამს, რომ გრიგოლ კარასინისა და ზურაბ აბაშიძის შეხვედრის შემდეგ ოფიციალური პასუხი დაჩქარდება.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზიტი შეაჯამა. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დავით კირვალიძემ განაცხადა, მას ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები ჰქონდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში, სოფლის მეურნეობის დეპარტამენტსა და მსოფლიო ბანკში.

როგორც მინისტრი აცხადებს, სახელმწიფო დეპარტამენტში შეხვედრისას მან ხაზი გაუსვა სერვისცენტრების ჩამოყალიბების მნიშვნელობას, რომლებიც მოემსახურებიან ფერმერთა ასოციაციებს, კოოპერატივებს და მეწარმეებს. მისი თქმით, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს სოფლის მეურნეობის განვითარების განახლებულ ხედვას და აქტიურად ჩაერთვება აგრარულ სფეროში დაგეგმილ პროექტებში. ამ პროექტებში ამერიკული მხარე, დავით კირვალიძის განცხადებით, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში 50 მილიონი დოლარის ჩადებას აპირებს.

– ამერიკული მხარიდან ინტერესი იყო ძალიან დიდი. ამერიკის შეერთებული შტატები რჩება სტრატეგიულ პარტნიორად სოფლის მეურნეობის დარგში, ძირითად დონორად და მხარდამჭერად. ჩვენი მესიჯი იყო ის, რომ საქართველოს მთავრობა აპირებს ყოველგვარი წინაპირობის შექმნას ინვესტორებისთვის, რათა მათ განავითარონ ბიზნესი საქართველოში, ქვეყნისა და მისი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, – განაცხადა კირვალიძემ.

მინისტრის თქმით, შეხვედრები ჰქონდა მსოფლიო ბანკშიც. როგორც დავით კირვალიძე აცხადებს, შეხვედრისას განიხილეს სოფლის მეურნეობის და რეგიონული განვითარების პროექტის მომზადების პროცესი და განხორციელების სქემა. მინისტრის ცნობით, განიხილეს საირიგაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მნიშვნელობისა და წყლის მომხმარებელთა რეგიონალური ასოციაციების შექმნის საკითხი. დავით კირვალიძის ინფორმაციით, საირიგაციო სისტემების განვითარებისათვის მსოფლიო ბანკი 30-50-მილიონიანი პროექტის განხორციელებას გეგმავს.

# რას გეგმავს სოზარ სუბარი

ნათია ხურცილავა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა სოზარ სუბარმა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან გუშინ შეხვედრა გამართა. სამინისტრომ წარმოადგინა 2013 წლის პრიორიტეტები. პრიორიტეტებზე მსჯელობას სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მინისტრმა **სოზარ სუბარმა** ისაუბრა თუ რა იქნება მომავალი წლის პრიორიტეტი სისტემისთვის.



– ჩვენი პროექტი ითვალისწინებს სასჯელაღსრულების სისტემის ჰუმანიზაციას, რომელიც ამავდროულად გადაჯაჭვული იქნება წესრიგთან. ეს არ იქნება წესრიგის ხარჯზე. პატიმრების სოციალური პირობების გაუმჯობესება მოხდება. ორჯერ იზრდება ჯანდაცვაზე გამოყოფილი თანხა. ასევე სერიოზულად იზრდება კვებაზე გამოყოფილი თანხა. საკვები იქნება ნორმალური. მე ვიყავი გაოცებული, როდესაც მითხრეს, რომ ორი წლის წინ, 2010 წლის 23 ნოემბერს, გიორგობას რომ შეიტანეს ხორცი, იმის მერე ხორცი თვალით არ უნახავთ პატიმრებს. ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს, – ამბობს სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი.

სასჯელაღსრულების მინისტრს გუშინ ჟურნალისტებმა ასევე ჰკითხეს იმ პატიმრებზე, რომლებიც შიმშილობენ, მათ შორის არის თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომლებიც აპროტესტებენ პოლიტპატიმრების სიიდან მათ ამოღებას.

– ისინი შიმშილობენ. შეხვედრა იყო მათთან, როგორც ისინი აცხადებენ, აპროტესტებენ, თუ რატომ არ არიან პოლიტპატიმრების სიაში. ჩვენი მხრიდან მეთვალყურეობა მიმდინარეობს. მე ვერ გეტყვით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს პარლამენტი, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილემ ჟურნალისტებთან იმ რეფორმის დეტალებზე ისაუბრა, რომლის განხორციელებასაც აპირებს.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, რეფორმა მოიცავს როგორც ინფრასტრუქტურულ განახლებას, ასევე ჯანდაცვისა და რესოციალიზაციის მიმართულებას.

– ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებები არის ასახული ამ დოკუმენტში. პრიორიტეტები მოიცავს როგორც ინფრასტრუქტურულ განახლებას, ასევე ფსიქო-სოციალური პროგრამების გაფართოებას და დანერგვას, რომ მსჯავრდებულები კარგად მოემზადონ რესოციალიზაციისთვის. ასევე მიმართულება ფარავს ჯანდაცვის რეფორმას, პატიმართა კვებას. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეებია მოპყრობის თვალსაზრისით, – აცხადებს სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე.

ნანა კაკაბაძის განცხადებით, ყველა პირობა არსებობს, რომ არასამთავრობო სექტორის რეკომენდაციები სასჯელაღსრულების სამინისტრომ გაიზიაროს და ამით მოხდეს დაახლოება ცივილიზებულ, დემოკრატიულ სამყაროსთან.

**ნანა კაკაბაძე, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი:**

– დღეს არის საშუალება, რომ სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციები გაზიარებულ იქნას. ამ მიმართულებით ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია. იმედი მაქვს, რომ ეს არ არის შეხვედრა შეხვედრისთვის და რეალურად მოხდება იმ ნაბიჯების გადადგმა, რაც ამ სისტემას გამჭვირვალეს გახდის. აღმოფხვრის იმ პრობლემებს, რაც აქამდე იყო: ცემას, წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობას. ჩვენ მართლაც დავუახლოვდებით იმ ცივილიზებულ სტანდარტებს, რომლის აღსრულებაც ჩვენთვის სავალდებულოა.

# ვახტანგ ყოლბაია: ბურჯანაძის ფიგურა პოლიტიკაში კვლავ მოთხოვნადია"

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ „დემოკრატიული მოძრაობის" მთავარი საბჭოს წევრ ვახტანგ ყოლბაიასთან

***– აირაის ბოლო სოციოლოგიური გამოკვლევებით, „ქართული ოცნების" რეიტინგმა, აგვისტოსთან შედარებით, ნოემბერში აიწია, ხოლო ნაცმოძრაობისა და მისი ლიდერებისა კი, პირიქით, დაეცა. როგორია თქვენი შეფასება ამ კვლევებთან დაკავშირებით?***

– აგვისტოში ეს რეიტინგები ჩვენს ეჭვს იწვევდა, თუ რამდენად სწორად ასახავდა ეს გამოკითხვები რეალობას. შეიძლება, განზრახ კი არ აჩვენებდნენ ნაცმოძრაობის მაღალ რეიტინგებს, არამედ მოსახლეობას ჰქონდა სიმართლის თქმის შიში. ნაცმოძრაობამ იცოდა თავისი რეალური რეიტინგი, მაგრამ ცდილობდა, ის ბაზა შეექმნა, რომ ლეგიტიმურად ექცია ის შედეგი, რომელიც გამოკითხვებით იყო ნაჩვენები არჩევნების დროს. მაგრამ მათი ცდა ამაო აღმოჩნდა, არჩევნების შედეგები ვერ გააყალბეს ციხის კადრების და სხვა გარემოების გამო. 65 ადგილი და 40%, რომელიც ნაცმოძრაობამ აიღო, არ ასახავდა ელექტორატის განწყობას მის მიმართ. 12%, რომელიც ახლა ნაცმოძრაობას აქვს, მაშინაც იყო ის ნამდვილი შედეგი, რომელიც მას მაქსიმალურად ჰქონდა.

***– თქვენ ამბობთ, რომ მასობრივად მაინც ვერ გააყალბეს. მაშინ რისი შედეგი იყო ეს 40%?***

– არჩევნების დღის ბოლოს უკვე ცხადი იყო, რომ ნაცმოძრაობამ წააგო. ეს აღიარა სააკაშვილმა, მაგრამ ორი-სამი საათი მოიგეს და ადგილებზე რაიონებში შეეცადნენ დროის მოგებას და შედეგების გაყალბებას ძალის საშუალებით. ჩვენ ვნახეთ, რომ გორსა და ხაშურში ძალადობა გამოიყენეს. ნაცების ჩანაფიქრი ის იყო, რომ სისხლის ღვრა და დაპირისპირება მომხდარიყო და ეს მისი მარცხის აღიარების შემდეგ დაბრალდებოდა ოპოზიციას, მაგრამ ივანიშვილმა ეს ჩანაფიქრი გაშიფრა და მაქსიმალურად ყველაფერი გააკეთა დაპირისპირების ასაცილებლად. ეს სწორედ ივანიშვილის დამსახურება იყო და არა სააკაშვილის, რადგან სააკაშვილი ნებისმიერ დაპირისპირებაზე წავიდოდა, ამიტომ ამწვავებდა სიტუაციას. 40% პატარა პროცენტი არ არის, ვხედავთ, ამ პროცენტებით რა წინააღმდეგობას უწევს ის მმართველ კოალიციას, თანაც ამ 40%-ში შევიდა ნაცმოძრაობის ელიტა, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან არის პოლიტიკაში, იზრდებიან, გამოცდილებას იძენენ. ისინი მცირე შეცდომასაც კი არ პატიობენ ახალ ხელისუფლებას. მართალია, გაცხადებული აქვთ, რომ ხელს შეუწყობენ კოჰაბიტაციას, მაგრამ საქმით ამას არ აკეთებენ. აუდიტი მათ ხელშია, მოსამართლეთა კორპუსი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მათია, რაღაც ელემენტი თავისუფლებისა გამოჩნდა, მაგრამ ესეც მათ წისქვილზე ასხამს წყალს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებიც მათ ხელშია. საბიუჯეტო ორგანიზაციების მომსახურე პერსონალის ხელფასების ზრდის გადაწყვეტილება მიიღო ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, თბილისის მერი ასევე ყველაფერს აკეთებს, რათა ადგილობრივი ორგანოები გააძლიეროს. ეს არის ხარკის გადახდა იმ ხალხისთვის, რომელიც მათ ემსახურებოდა. ცდილობენ, მაჟორიტარი დეპუტატები დაუპირისპირონ ხალხს. უცხოეთში ლობისტურ ჯგუფებს იყენებენ, ელჩებს არ თმობენ.

***– ზოგიერთი ექსპერტი 1 აპრილს ლამის სამყაროს დასასრულად მიიჩნევს. ეს ის დროა, როცა სააკაშვილს ხელ-ფეხი ეხსნება უფლებების გამოსაყენებლად და პარლამენტის დასათხოვად. როგორ გგონიათ, ის გამოიყენებს ამ საშუალებას მაშინ, როცა ნაცმოძრაობისთვის, მისი რეიტინგიდან გამომდინარე, ეს ქმედება შეიძლება საზიანოც აღმოჩნდეს. ახალ არჩევნებში ხომ 40%-საც ვერ მიიღებენ?***

– აპრილის შუა რიცხვებიდან სააკაშვილს ამ უფლებების გამოსაყენებლად ეძლევა საშუალება და პარლამენტიც შეიძლება ამოქმედდეს მისი იმპიჩმენტისთვის. ხელახალი არჩევნების პირობებში, როცა ჯერ კიდევ ცხელია მოგონებები ნაცმოძრაობაზე და მეხსიერებიდან არ ამოშლილა მათ მიერ ჩადენილი ყველა უმსგავსობა, ჩვენი ხალხი მიმტევებელია, შეიძლება, დაჩაგრულის იმიჯის მქონე პარტია შეეცოდოს კიდეც. რუსეთთან ომის დროს სააკაშვილს რომ ეღიარებინა თავისი შეცდომები და ბოდიში ეთხოვა საზოგადოებისთვის, მას აპატიებდნენ, მაგრამ დღესაც ბოდიშს არ იხდის. არა მგონია, სააკაშვილსა და მის გუნდს არ ჰქონდეს გააზრებული, ახალი არჩევნების პირობებში რა შედეგით დასრულდება ეს მათთვის. შეიძლება, ბარიერიც კი ვერ გადალახონ. გარდა ამისა, სააკაშვილი დადის ევროპაში და იქ მის მხარდამჭერებსა და მოწინააღმდეგეებსაც კი ეუბნება, რომ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა და გამოჰყავს თავი, როგორც საკუთარი ხალხის ოპოზიციონერი. ესეც მისი პოლიტიკის უდიდესი შეცდომაა. ამით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის ხავერდოვნად კი არ არის ძალაუფლების გადამცემი, არამედ კოჰაბიტაციის წინააღმდეგია. ოპოზიციის ნიშის დაკავება დამნაშავე პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ მისთვისვეა საზიანო, იმიტომ რომ მას გაუჭირდება



ხელისუფლების სრულფასოვანი კრიტიკა, მისი არგუმენტებიც არ იქნება მყარი და გულწრფელი. არც ხალხთან აქვს დიდად სალაპარაკო რაიმე. ქვეყანას უნდა ჰყავდეს გამოცდილი პრეზიდენტი და არა 35 წლის ადამიანი, რომელიც გამოუცდელია. დასავლეთში ახალგაზრდა მოსამართლესა და პრეზიდენტს ვერ ნახავთ. სააკაშვილისთვის მტკივნეულია იმ პრივილეგიების დათმობა, რომლებიც მას ჰქონდა. გახსოვთ, ალბათ, ხელთათმანივით იცვლიდა თვითმფრინავებს, მანქანებს, დადიოდა სამოგზაუროდ, ისვენებდა, ისიც მინდა გაგახსენოთ, რომ ამბობდა, ეგლა მაკლია, ჩემი აშენებული ქვეყანა სხვას გადავაბაროო. დასავლეთი მარტო ამ გამონათქვამის გამო უნდ აკრიტიკებდეს სააკაშვილს. ამ დროს ახლანდელ ხელისუფლებას აკრიტიკებენ და კატასტროფად მიიჩნევენ ოცი მაღალჩინოსნის დაპატიმრებას. ახლა პოლიტპატიმრების შესახებ კანონის რევიზია სურს ნაცმოძრაობას. ორასამდე პოლიტპატიმარი გვყავს.

***– უცნაურ შედარებებს წააწყდებით ნაცმოძრაობის პრესაში, რომ ლუკაშენკოს ჰყავს თურმე ორი-სამი პოლიტპატიმარი, საქართველოში კი ორასამდეა მათი რიცხვი და ეს არაბუნებრივია. ამ დროს ეს რეალობაა, სააკაშვილის ხელისუფლებას უამრავი პოლიტიკური ნიშნით დაკავებული ადამიანი ჰყავდა.***

– ლუკაშენკოს ბელორუსები უყვარს, სააკაშვილს თავისი ხალხი არ უყვარდა და განსაკუთრებულ ძალადობას იყენებდა მის წინააღმდეგ. უამრავი სტატიის გაცნობა შეიძლება, რომლებშიც დაფარული ინფორმაციები ახლა ცხადი გახდა, რა ე.წ. რეფორმები გაატარა სააკაშვილის ხელისუფლებამ ჯანდაცვაში, სოციალურ სფეროში, როგორ ექცეოდა ადამიანებს. მერე რატომ უკვირდათ, რომ ადამიანების პროტესტი მათ მიმართ ასეთი მასშტაბური იყო. დასავლეთმა პოლიტიკური თავშესაფარი რომ მისცა ადამიანებს, ეს რატომ ხდებოდა – იმიტომ, რომ პოლიტიკური ნიშნით იდევნებოდნენ. ევროპაში გახლდით ამ დღეებში. იქ არ არის ასეთი განწყობა ძველ და ახალ ხელისუფლებებთან დაკავშირებით. მეტი გაგებით ხვდებიან ამ დაკავებებს. კრიტიკულად აფასებენ სააკაშვილის მმართველობას, თუმცა არიან დაქირავებული ლობისტები, მაგრამ მათი გავლენა დიდი არ არის. დასავლეთი მიხვდება, რასთან ჰქონდა საქმე სააკაშვილის სახით. თუ ქვეყნის სიკეთე უნდა ნაცმოძრაობას, ის უნდა შეეგუოს ბოლომდე თავის მარცხს და არ ეძებოს რევანშის გზები, მაგალითად, არ დაითხოვოს პარლამენტი, პირიქით, ხელი შეუწყოს ახალ ხელისუფლებას ქვეყნის მართვის საქმეში.

***– ექვსი თვის შემდეგ ნაცები ვარაუდობენ, რომ „ქართული ოცნების" რეიტინგი დაბლა დაიწევს და დაპირებები ვერ შესრულდება. სწორედ ამ დროს ჩასაფრებიდან გამოვლენ და დაარტყამენ. ასეთია, როგორც ჩანს, ამათი ამოცანა.***

– შეეცდებიან, ასე იქნება, მაგრამ, ვფიქრობ, მმართველი უმრავლესობა და მთავრობა არ უნდა წამოეგოს ამ პროვოკაციას. „ქართულმა ოცნებამ" უნდა განახორციელოს ყველა ის დაპირება, რომელსაც ის არჩევნებამდე აცნობდა ადამიანებს, ყურადღება არ მიაქციოს ნაციონალების კრიტიკას. თავიდან რეიგანის ეკონომიკა არაპოპულარული იყო, მაგრამ კლინტონის დროს გამოვლინდა მისი დიდი პლუსები და აღორძინდა. როგორც კი მერყეობასა და ნაცების კრიტიკისადმი მტკივნეულ რეაგირებას დაიწყებს მმართველი ძალა, ამით მხოლოდ ნაციონალები ისარგებლებენ. ნაცები იკადრებენ ყველაზე ბინძური ჭორების დაყრასაც კი, ყველაფერზე წამსვლელები არიან. მათ უნდათ, მოსახლეობაში შექმნან ილუზია, რომ ეს ხელისუფლება არ არის მდგრადი, გაბედული, ამიტომ ოცნებამ ამას ყურადღება არ უნდა მიაქციოს.

***– ახლა ქართველი საზოგადოება მხარს უჭერს რუსულ-ქართული ურთიერთობების ნორმალიზებას. აფხაზებს კარგად იცნობთ და თქვენი აზრი საინტერესოა, ისინი ამ პროცესს მხარს უჭერენ თუ გარკვეული შიშები აქვთ?***

– შიშები ყოველთვის აქვთ. არ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში აფხაზები და ოსები დამოუკიდებლობაზე უარს იტყვიან და ჩვენს

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# თბილისის მოდის კვირეული გიორგი შალაშვილმა დახურა

ეკა ირემაშვილი

თბილისის მოდის რიგით მეშვიდე კვირეული დიზაინერმა გიორგი შალაშვილმა ახალი კოლექციის ჩვენებით დახურა. კომპანია „ჯეოფეშენისა“ და მისი ხელმძღვანელის თაკო ჩხეიძის ორგანიზებით მოწყობილ სამდღიან ჩვენებებში ათამდე ქართველი დიზაინერი ჩაერთო. წინასაახალწლო ღონისძიებას სასტუმრო „ჰოლიდეი ინმა“ უმასპინძლა და, უშუალოდ შენობაში ჩატარებული ჩვენებების გარდა, კოლექციები დიზაინერებმა შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე სპეციალურად თბილისის მოდის კვირეულისთვის მოწყობილ ტენტებში წარმოადგინეს.



– ამ სეზონზე თბილისის მოდის კვირეულზე 10-მა დიზაინერმა წარადგინა თავისი კოლექცია, მათ შორის გიორგი შალაშვილმა, უტა ბექაიამ, თეონა გარდაფხაძემ, ეკა ბალანჩივაძემ, ნინო ბაბუხადიამ, რომელიც თბილისის მოდის კვირეულში პირველად ჩაერთო, ქეთი ჩხიკვაძემ, აკა ნანიტაშვილმა, ლაკო ბუკიამ, დათუნა სულიკაშვილმა და ავთანდილ ცქვიტინიძემ. თბილისის მოდის კვირეულში მონაწილეობა უნდა მიეღო თამუნა ინგოროყვასაც, თუმცა, გარკვეული მიზეზები გამო, მისი კოლექციის ჩვენება ვერ მოხერხდა. დიზაინერთა კოლექციის ჩვენებებს კასტინგის შედეგად შერჩეული სხვადასხვა სააგენტოს 26 მოდელი ემსახურებოდა. გოგონების მაკიაჟზე პარფიუმერიულ მაღაზიათა ქსელმა „ვულე ვუმ“ იზრუნა, ხოლო თმაზე – ნანა აბუჯანიას სალონმა „აბაშიძის 31“. საბოლოო განრიგის თანახმად, თბილისის მოდის კვირეულის პირველ დღეს კოლექციები ქეთი ჩხიკვაძემ და აკა ნანიტაშვილმა წარადგინეს, მოგვიანებით გამართულ წვეულებაზე მოსულ სტუმრებს კი მისმა ორგანიზატორებმა სიურპრიზი მოუმზადეს – სპეციალურად ნიუ იორკიდან ჩამოსული ქართველი დიზაინერის უტა ბექაიას კოსტიუმების ჩვენება „მოდური პერფომანსი“ სასტუმრო „ჰოლიდეი ინის“ ლაუნჯში მოეწყო. ამჯერად კვირეულის შემოქმედებით ნაწილზე ნინო იოსელიანმა იზრუნა, რომლის მხარდაჭერით ყველა საღამო განსაკუთრებულად შეიფუთა. კვირეულის კრეატივში თავისი წვლილი თბილისის მოდის კვირეულის წარმდგენმა კომპანია „აჭარაბეთმაც“ შეიტანა – კვირეულის სტუმრებს სიურპრიზები მოუმზადა. დიზაინერმა გიორგი შალაშვილმა თავად შექმნა „აჭარაბეთის“ ლოგოტიპით ბრენდირებული საჩუქრები, რომლებიც კვირეულის სტუმრებს სამახსოვროდ გადაეცათ. თბილისის მოდის კვირეულის ჩვენებების ძირითადი ლოკაცია სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ის წინ გაშლილი საზეიმო ტენტი აღმოჩნდა, თუმცა არსებობდა ორი ალტერნატიული სივრცეც. დიზაინერებმა დათუნა სულიკაშვილმა და ავთანდილ ცქვიტინიძემ თავიანთი კოლექციები განსხვავებულ გარემოში წარმოადგინეს, – განაცხადა თბილისის მოდის კვირეულის კურატორმა ჯაბა სიხარულიძემ.

მისივე თქმით, თბილისის მოდის კვირეული ყველაზე კრეატიული და ინოვაციური ღონისძიებაა საქართველოს მოდის კალენდარში, რომლის ფარგლებშიც პროფესიონალ თუ დამწყებ დიზაინერებს, მოდელებსა თუ ამ სფეროს სხვა წარმომადგენლებს ეძლევათ შანსი, წარმოაჩინონ საკუთარი თავი და შესაძლებლობები.თბილისის მოდის კვირეულის სამდღიანი პროგრამა ქეთი ჩხიკვაძის, აკა ნანიტაშვილისა და უტა ბექაიას ჩვენებებით გაიხსნა. კვირეულის მეორე დღეს უკვე პოდიუმები დაეთმოთ მოდელებს, რომლებმაც ნინო ბაბუხადიას, ეკა ბალანჩივაძის, დათუნა სულიკაშვილისა და ავთანდილ ცქვიტინიძის კოსტიუმები მოირგეს. თბილისის მოდის კვირეულის დახურვის ბოლო დღეს კი მოდის მოყვარული საზოგადოების წინაშე წარდგნენ თეონა გარდაფხაძე, ლაკო ბუკია და გიორგი შალაშვილი ახალი კოლექციებით, რომლებიც სპეციალურად თბილისის მოდის კვირეულისთვის შეიქმნა.

– თბილისის მოდის კვირეულზე მეორე დღე დაეთმო ახალბედა დიზაინერ ნინო ბაბუხადიას, რომელიც ეკა ბალანჩივაძის კოლექციამ ჩაანაცვლა, დღის ბოლოს სამსაათიანი შესვენების შემდეგ მოდის კვირეულის სტუმრებმა ქარვასლაში გადაინაცვლეს, სადაც ავთანდილ ცქვიტინიძის იმ კოლექციის ჩვენება გაიმართა, რომლითაც დიზაინერმა მსოფლიოს არაერთი პოდიუმი მოიარა. გვიან ღამით კი რიგით მეოთხე ჩვენება დათუნა სულიკაშვილმა გამართა. სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ის წინ გაშლილ ფეშენ ტენტში მოხვედრილ სტუმრებს უჩვეულო გარემო დახვდათ და დიზაინერის კოლექციის ჩვენებაც განსაკუთრებულად იქნა გაფორმებული. რაც შეეხება დასკვნით დღეს, თბილისის მოდის კვირეულის ბოლო დღე ყოფილი „ინფორმალის“ თეონა გარდაფხაძის ჩვენებით დაიწყო, მის შემდეგ პოდიუმი უკვე ლაკო ბუკიას კოლექციას დაეთმო. თავად დიზაინერი, რომელიც ამჟამად ლონდონში იმყოფება, ფაქტობრივად, ბოლო წუთს ჩამოფრინდა თბილისში, რათა ჩვენებას მის გარეშე არ ჩაევლო. წელს თბილისის მოდის კვირეული დანიაში მოღვაწე ქართველი დიზაინერის გიორგი შალაშვილის ჩვენებამ დახურა, რომელმაც 70-ზე მეტი კოსტიუმი წარადგინა მაყურებლის წინაშე. დიზაინერის მიერ შექმნილი კოლექციის ჩვენების შემდეგ დიდი წვეულება გაიმართა სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ის 22-ე სართულზე, სადაც მისულ სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ ექსკლუზიურად ამ დიზაინერის მიერ შექმნილი მოდური საჩუქრები, – განმარტა ჯაბა სიხარულიძემ.

# ოპერის თეატრის სიმფონიური ორკესტრი ჩინეთში წავიდა

ეკა ირემაშვილი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი 17 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე საგასტროლო ტურნეს გამართავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

როგორც ოპერის თეატრის წარმომადგენელი ზურაბ ოიკაშვილი აღნიშნავს, ღონისძიების ორგანიზატორია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ფონდი, რომლის მიზანია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობა პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში.

სიმფონიური ორკესტრის პირველი კონცერტი გაიმართება 20 დეკემბერს პეკინის საშემსრულებლო ხელოვნების ნაციონალურ ცენტრში. ორკესტრი კონცერტებს ასევე გამართავს ჩინეთის ქალაქებში – შენიანგში, დალიანში, ანშანში და ჰეფეიში. ორკესტრს წარუძღვება თბილისის ოპერის თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო.

კონცერტების პროგრამაშია როსინის საოპერო უვერტიურები, ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონია და შუბერტის „დაუმთავრებელი სიმფონია“.

# ჩინეთის კულტურის დღეებს საქართველო უმასპინძლებს

ეკა ირემაშვილი

ჩინეთის კულტურის დღეები საქართველოს რამდენიმე ქალაქში გაიმართება. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში საგანგებო პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც საქართველო ერთი კვირის განმავლობაში უმასპინძლებს. ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართეს ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ჯიანვეი გონგმა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ, მინისტრის მოადგილემ მარინე მიზანდარმა და ჩინეთის დელეგაციის წევრებმა.

როგორც პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, საქართველოსა და ჩინეთის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 20 წლისთავი აღინიშნება როგორც საქართველოში, ასევე ჩინეთში.

– ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსულ დრამატულ თეატრში ქართველი საზოგადოების წინაშე წარდგება 1939 წელს დაარსებული ცნობილი ჩინური თეატრი ,,გიანსუ“. ეროვნულ მოტივებსა და ფასეულობებზე დაფუძნებული მსოფლიოში განთქმული თეატრი წარმოადგენს მუსიკისა და ცეკვის მრავალფეროვან ინტრეპრეტაციას, – აღნიშნა პრესკონფერენციაზე ჩინეთის ელჩმა საქართველოში.

ჩინეთის კულტურის დღეების ფარგლებში ასევე წარმოდგენილი იქ– –ნება ჩინეთის თანამედროვე ხელოვნების გამოფენა სახელწოდებით ,,მრავალფეროვანი აბრეშუმის გზა“. ექსპოზიცია გაიხსნება 18 დეკემბერს ეროვნული მუზეუმის საგამოფენო დარბაზში.

– 19 და 20 დეკემბერს ჩინეთის კულტურის დღეების ფარგლებში ჩინური თეატრის „გიანსუს“ წარმოდგენა ქუთაისსა და ბათუმშიც გაიმართება. მოხარული ვართ, რომ ჩინეთის კულტურის დღეები არა მარტო თბილისში, არამედ მთელ საქართველოში აღინიშნება. ჩინელებზე ბევრი რამ ვიცით და ჩვენ ჩინურს ვუწოდებთ ყველაფერს კარგსა და საინტერესოს. ეს ოდითგან ასეა. აბრეშუმის გზა კიდევ უფრო ხშირად გვაკავშირებდა ერთმანეთთან, ამიტომაც სიმბოლურია, რომ ეროვნულ მუზეუმში გაიხსნება გამოფენა სახელწოდებით „მრავალფეროვანი აბრეშუმის გზა“. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მათი თეატრი და ანსამბლი „გიანსუ“ გამოვა გრიბოედოვის თეატრში, – აღნიშნა კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ.

როგორც პრესკონფერენციაზე ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ჯიანვეი გონგმა განაცხადა, მათთვის დიდი პატივია, რომ ჩინეთის კულტურის დღეები არა მარტო თბილისში, არამედ ბათუმსა და ქუთაისშიც გაიმართება.

– მოგეხსენებათ, ჩინეთი და საქართველო უძველესი ცივილიზაციის ქვეყნებია. მჯერა, რომ ეს კულტურის დღეები საინტერესო და ამავე დროს სასიხარულო იქნება ორივე ქვეყნის მოსახლეობისთვის და, რაც მთავარია, ამის შემდეგ ჩვენი კულტურული თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.


## SMS-განცხადებები – 3090

### იყიდება

● ძალიან იაფად! მუხრან-თელეთში, შავნაბადას წმ. გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, 275 კვ.მ. 2-სართულიანი სახლი, მონტერეის გადახურვით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, რკინის კარებით და ჟალუზებით, მუდმივი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, თბილისიდან 22 კმ-ში. მიმდინარეობს სველი წერტილების მონტაჟი. შესაძლებელია განვადება. ტელ.: 599-72-27-48, 577-42-41-22. გია.

## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ოსტეოქონდროზის, ძლიერ დაქვეითებული სმენის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების და ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. გადახდა განკურნების შემდეგ. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული და დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის გაჩეჩა, საბნების განახლება. მოგემსახურებათ პროფესიონალი მკერავი. შემოგთავაზებთ ქსოვილების ფართო არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის და რაოდენობის წიწვოვანი და ფოთლოვან და დეკორატიული მცენარეების ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. გაგიფორმებთ დეკორატიულ კუთხეებს. ტელ: 236-28-78; 599-15-67-28.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.



## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




ცფ,ფყრჯ ჰტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% ) () $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 LBRTGE22
fyu8 N GE28LB 0122 1802 48686 000



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs
cohfab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib
2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2
[j,bc vjyfcnthb8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

# დინამო არენაზე სპორტული საკვების დანამატების მაღაზია ჯნს გაიხსნა

ახალი ობიექტი ამერიკასა და ინგლისში დამზადებული პროდუქციით მოამარაგებს ქართველ სპორტსმენებს. პრეზენტაცია ახალი ობიექტის მფლობელებმა ჯაბა კიკვიძემ და გიორგი ფიფიამ გახსნეს. ღონისძიებას ცნობილი სპორტსმენები და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. როგორც პრეზენტაციაზე გახდა ცნობილი, უახლოეს მომავალში კიდევ ერთი მაღაზია ქუთაისში გაიხსნება, საბოლოო ჯამში კი მთელ საქართველოს მოიცავს. სპორტსმენებმა სპორტული კვების მაღაზიის გახსნა დადებითად შეაფასეს. იქ იმყოფებოდნენ თბილისის „დინამოს“ ლიდერები – ჩისკო და გიორგი მერებაშვილი; საქართველოს ნაკრების მორაგბეები – ბიძინა სამხარაძე, გივი ბერიშვილი; ბერძნულ-რომაული სტილით ყოფილი მოჭიდავე, მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსანი რამაზ ნოზაძე...

**ჯაბა კიკვიძე:**

– ჩვენი სურვილი იყო, მსგავსი ტიპის მაღაზია გაგვეხსნა, რომელიც ქართველ სპორტსმენებს საშუალებას მისცემდა, საჭირო საკვები დანამატები საქართველოშივე შეეძინათ. ჩვენთან ძირითადად ამერიკული და ინგლისური კვების დანამატები გაიყიდება. ვგეგმავთ ქსელის გაფართოებას.

**გიორგი ფიფია:**

– დიდი ხანია მსგავსი ტიპის მაღაზიის გახსნის სურვილი გვაქვს. გადავწყვიტეთ, „დინამო არენას“ ტერიტორიაზე გაგვეხსნა პირველი ობიექტი. ვგეგმავთ ქსელის გაფართოებასა და მთელს საქართველოში ჩვენი მაღაზიების გახსნას. თბილისის შემდეგ ქუთაისშიც გაიხსნება სპორტული კვების დანამატების ობიექტი. ჩვენი პროდუქციის მომხმარებელი ყველა სპორტის სახეობის წარმომადგენელია. „ჯიქებთან“ ოფიციალური პარტნიორობა გვაკავშირებს. ჩვენი პროდუქციის შეძენა კი ნებისმიერ მსურველს შეეძლება.

**გიორგი მერებაშვილი:**

– მისასალმებელია მსგავსი ტიპის მაღაზიის გახსნა. სპორტსმენებს მუდმივად გვჭირდება დამატებითი მინერალების მიღება, რათა თამაშიდან თამაშამდე აღდგენა მოვახერხოთ. სპორტული კვების დანამატების მიღება კი აუცილებელია არა მარტო სპორტსმენისთვის, არამედ ჩვეულებრივი ადამიანისთვისაც.

**ჩისკო:**

– სწორი ვარჯიში და საკვები დანამატები ფეხბურთელისთვის და სხვა სპორტსმენისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ ასეთი მაღაზიის გახსნა მისასალმებელია. ესპანეთში მსგავსი ობიექტები დიდი ხანია არსებობს. მოხარული ვარ, რომ თბილისშიც იქნება.

**რამაზ ნოზაძე:**

– ნებისმიერი სპორტსმენისთვის მოჭიდავე იქნება თუ ფეხბურთელი, საჭიროა ძალების აღდგენა და მუდმივად ფორმაში ყოფნა. ამისთვის კი, ვარჯიშის გარდა, აუცილებელია საკვები დანამატების მიღება. როცა თბილისში უკვე არსებობს მაღაზია, სადაც სპორტსმენისთვის ხელმისაწვდომი იქნება ამ პროდუქციის შეძენა, ძალიან სასიამოვნოა, რადგან უცხოეთიდან მისი შემოტანა დროს და ხარჯებს უკავშირდება.

**ბიძინა სამხარაძე:**

– ნებისმიერი სპორტსმენისთვის საჭიროა პროტეინების მიღება. სასიხარულოა, რომ ამიერიდან ასეთი ტიპის მაღაზია საქართველოშიც იქნება. ქართველ სპორტსმენთა ძირითადი ნაწილი ყოველგვარი გარანტიების გარეშე მსგავს პროდუქტს უცხოეთიდან იწერდა, ახლა კი უშუალოდ დედაქალაქის ცენტრში შეგვიძლია შესაბამის მაღაზიაში მოსვლა.

# პრეზიდენტები ფრენბურთელებმა და ძალოსნებმაც აირჩიეს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართულ საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობაზე ფედერაციის ახალ ხელმძღვანელად ირაკლი ჩაჩუა აირჩიეს.

ყრილობაზე დამსწრე ხმის მიცემის უფლების მქონე 32 დელეგატიდან ფარულ კენჭისყრაზე ჩაჩუამ 17 ხმა მიიღო, 15 ხმა ერგო მეორე კანდიდატ ნინო მღებრიშვილს.

ფრენბურთის ფედერაციას 2001 წლიდან ლევან ახვლედიანი ხელმძღვანელობდა. ახალი პრეზიდენტი ფრენბურთის ეროვნულ ფედერაციას მომდევნო 4 წლის ვადით უხელმძღვანელებს.

ფედერაციის ვიცეპრეზიდენტებისა და გენერალური მდივნის ვინაობას ირაკლი ჩაჩუა მიმდინარე კვირას გაამხელს.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობაც გაიმართა. ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის ორი კანდიდატი იბრძოდა – მოქმედი პრეზიდენტი დავით ბეჟუაშვილი და ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი.

კანდიდატებს შორის არჩევანი 51 დელეგატმა გააკეთა, საიდანაც 28-მ მხარი დაუჭირა დავით ბეჟუაშვილს, ხოლო 23-მა – კახი კახიაშვილს. ამრიგად, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ძალოსნობის ფედერაციას ბეჟუაშვილი უთავკაცებს.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

რედინგი-არსენალი ...................... 2:5

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 17 | 14 | 0 | 3 | 43:24 | 42 |
| 2.სიტი | 17 | 10 | 6 | 1 | 33:15 | 36 |
| 3.ჩელსი | 16 | 8 | 5 | 3 | 28:17 | 29 |
| 4.ტოტენჰემი | 17 | 9 | 2 | 6 | 30:25 | 29 |
| 5.არსენალი | 17 | 7 | 6 | 4 | 31:18 | 27 |
| 6.ევერტონი | 17 | 6 | 9 | 2 | 28:21 | 27 |
| 7.ვესტ ბრომვიჩი | 17 | 8 | 3 | 6 | 24:21 | 27 |
| 8.ნორვიჩი | 17 | 6 | 7 | 4 | 19:25 | 25 |
| 9.სტოკი | 17 | 5 | 9 | 3 | 15:13 | 24 |
| 10.სუონსი | 17 | 6 | 5 | 6 | 26:22 | 23 |
| 11.ვესტ ჰემი | 17 | 6 | 5 | 6 | 21:20 | 23 |
| 12.ლივერპული | 17 | 5 | 7 | 5 | 23:23 | 22 |
| 13.ფულემი | 17 | 5 | 5 | 7 | 28:29 | 20 |
| 14.ასტონ ვილა | 17 | 4 | 6 | 7 | 15:24 | 18 |
| 15.ნიუკასლი | 17 | 4 | 5 | 8 | 19:26 | 17 |
| 16.სანდერლენდი | 17 | 3 | 7 | 7 | 18:24 | 16 |
| 17.საუთჰემპტონი | 16 | 4 | 3 | 9 | 22:32 | 15 |
| 18.უიგანი | 17 | 4 | 3 | 10 | 18:32 | 15 |
| 19.ქპრ | 17 | 1 | 7 | 9 | 15:30 | 10 |
| 20.რედინგი | 17 | 1 | 6 | 10 | 21:36 | 9 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

დეპორტივო-ვალიადოლიდი ....... 0:0

სელტა-ბეტისი ........................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 16 | 15 | 1 | 0 | 54:18 | 46 |
| 2.ატლეტიკო | 16 | 12 | 1 | 3 | 36:17 | 37 |
| 3.რეალი | 16 | 10 | 3 | 3 | 39:14 | 33 |
| 4.მალაგა | 16 | 8 | 4 | 4 | 25:10 | 28 |
| 5.ბეტისი | 16 | 9 | 1 | 6 | 25:26 | 28 |
| 6.ლევანტე | 16 | 8 | 3 | 5 | 21:21 | 27 |
| 7.ხეტაფე | 16 | 7 | 3 | 6 | 19:21 | 24 |
| 8.ვალიადოლიდი | 16 | 6 | 4 | 6 | 22:18 | 22 |
| 9.სოსიედადი | 16 | 6 | 4 | 6 | 22:19 | 22 |
| 10.რაიო | 16 | 7 | 1 | 8 | 19:32 | 22 |
| 11.ვალენსია | 16 | 6 | 3 | 7 | 19:24 | 21 |
| 12.ბილბაო | 16 | 6 | 3 | 7 | 21:32 | 21 |
| 13.სევილია | 16 | 5 | 4 | 7 | 21:24 | 19 |
| 14.სარაგოსა | 16 | 6 | 1 | 9 | 18:24 | 19 |
| 15.სელტა | 16 | 4 | 3 | 9 | 16:21 | 15 |
| 16.ოსასუნა | 16 | 3 | 5 | 8 | 13:17 | 14 |
| 17.გრანადა | 16 | 3 | 4 | 9 | 11:24 | 13 |
| 18.მალიორკა | 16 | 3 | 4 | 9 | 14:28 | 13 |
| 19.ესპანიოლი | 16 | 2 | 6 | 8 | 17:26 | 12 |
| 20.დეპორტივო | 16 | 2 | 6 | 8 | 21:37 | 12 |

### იტალია. სერია ბ

ასკოლი-ბრეშა .......................... 2:0

რეჯინა-ჩიტადელა ..................... 0:1

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბრაუნშვაიგი-უნიონი .................. 4:3

### საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-გენგამი .......................... 1:1

### ჰოლანდია. 1 დივიზიონი

აპელდორნი-ალმერე .................. 4:0

ტელსტარი-გრააფსხაპი ............. 0:0

ჰელმონდი-ოსი .......................... 3:3

### საბერძნეთი. სუპერლიგა

იანინა-პაოკი ............................. 1:3

### თურქეთი. სუპერლიგა

ქაისერი-ქაშიმფაშა ..................... 1:0

## კალათბურთი

### ნბა. რეგულარული სეზონი

ორლანდო-მინესოტა ............. 102:93

დეტროიტი-კლიპერსი ............. 76:88

ნიუ იორკი-ჰიუსტონი ............ 96:109

მემფისი-ჩიკაგო ....................... 80:71

ოკლაჰომა-სან ანტონიო ......... 017:93

ფინიქსი-საკრამენტო ............. 101:90

# ვასილი უტკინი: ყიფიანი ყველაფერს მოდურს ხდიდა“



დავით ყიფიანი

ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელ დავით ყიფიანს ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმა ვასილი უტკინმა მეტად საინტერესო სტატია მიუძღვნა, რომელიც თავის ბლოგზე განათავსა.

აი, რას წერს უტკინი საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელზე.

თქვენ ხომ არ გინახავთ ყიფიანი, არა მხოლოდ მოთამაშე – საერთოდ. უმეტესობას მაინც. ამიტომ, მინდა მოგიყვეთ. მე გამიმართლა, რომ მის თამაშსაც მოვესწარი, ხოლო მოგვიანებით გავიცანი კიდეც. ის დიდად შეცვლილი არ იყო.

1981 მისი საუკეთესო წელიწადი იყო – თასების თასი, უდიდესი ტურნირი (მოგვიანებით ეს ტურნირი არა ყიფიანის გამო გაქრა, არამედ, მისნაირების არყოფნის გამო). 82-ში ის საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატზე არ წაიყვანეს. ახლა 4-ჯერ უფროსი ვარ, ვიდრე მაშინ, ხოლო თუ ჩვილობის პერიოდს მოვაშორებთ, 10-ჯერ უფრო დიდი. მე ვისწავლე მწვრთნელების მიერ განსაკუთრებული გადაწყვეტილებების მიღების აღქმა, მაგრამ თუ რატომ არ წავიდა ყიფიანი ესპანეთში მსოფლიო ჩემპიონატზე, დღემდე გაუგებარია. გამიხარდებოდა, ვინმეს რომ აეხსნა, რით ჩამორჩებოდა ყიფიანი, მაგალითად, ზიკოს ან მარადონას იმ ასაკში. სოკრატესს ის ნამდვილად სჯობდა, ხოლო მაშინდელი პლატინი მას მონუსხული შეხედავდა... შეგიძლიათ, არ დაიჯეროთ, ამის გადამოწმება უკვე შეუძლებელია. ბურიაკი და გავრილოვი, რომლებიც სხვათა შორის, ყიფიანს ამჯობინეს, საუცხოო მოთამაშეები იყვნენ, მაგრამ ყიფიანთან შედარებით იყვნენ და დარჩებიან უბრალო თვითნასწავლ მუსიკოსებად.

ზოგჯერ ამბობენ – ისე თამაშობს, როგორ სუნთქავს. ვფიქრობ, უაზრო სიტყვებია. სუნთქვაში ინდივიდუალობა არ არის, სექსი არ არის. შეიძლება ხვრინვით ისუნთქო, მაგრამ პორნოგრაფია სხვა რამეა... მე ვიტყოდი, რომ თამაშობს, როგორც დადის. სწორედ, სიარულის მანერაში არის შეუდარებლობა, სტილი და სექსი. ყიფიანი ასე თამაშობდა. მას შეეძლო, მოედანზე პიჯაკში გამოწყობილი გასულიყო, მაგრამ ვერავინ შეამჩნევდა. მეტიც, თვითონაც არ იგრძნობდა თავს უხერხულად. ის ბურთიანად რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა და ყველაფერს მოდურს ხდიდა, მათ შორის თავის ნაადრევ გამელოტებას. ჩემი აზრით, სწორედ სიმელოტის გამო დაარქვეს „პროფესორი“. ის არ იყო პროფესორი, რადგან ეს კარიერაა, თანამდებობა, ხოლო რასაც იგი აკეთებდა, ამის სწავლა შეუძლებელია, მით უმეტეს, პროფესორები ბევრნი არიან.

არ ელოდოთ, საუბარი იმ მიმართულებით არ მიმყავს, თითქოს ვიცოდე, რა მეტსახელი უნდა დაერქვათ. არ შემიძლია გავერკვე, 80-იანებში მას რა უნდა რქმეოდა... ჩემთვის არავითარი მეტსახელი საჭირო არაა. ყიფიანი. სხვა სად უნდა ნახო? რას ნიშნავს ეს სიტყვა, მისი სახელის გარდა? სოკრატესს ის ნამდვილად სჯობდა, ხოლო მაშინდელი პლატინი მას მონუსხული შეხედავდა.

კონერის იმიჯი მისგან არის აღებული. ეგრევე ჯეიმს ბონდის შემდეგ. კარგი აგებულების, მაღალი, მელოტი, ულვაშებით, ისეთი თვალები... ვერაფერს იტყვი. დაუმარცხებელი. ეს ყიფიანია და ცოტა ბონდი.

მეც მას მეტად აღარ შევხვედრივარ. მინდოდა არა სახელს შევხვედროდი, არამედ, ადამიანს. 13 წლის შემდეგ, მას მერე, რაც საბჭოთა კავშირის ნაკრებში 13 ნომრით მოთამაშე ვიტალი დარასელია, რომელმაც 13 მაისს თასების თასის ფინალში გადამწყვეტი გოლი გაიტანა, 13 დეკემბერს თავისი მანქანით უფსკრულში გადავარდა, მეუბნებოდნენ, რომ ყიფიანს უკვე ვერ შევხვდებოდი. თითქოს მას ინტერპოლი ეძებს, რადგან „კანონიერი ქურდია“ და სადღაც კვიპროსში იმალება. გულუბრყვილო დრო იყო. მაშინ მსგავს საკითხებზე სერიოზულად მსჯელობდნენ, უფრო სწორად, სერიოზულად იღებდნენ. ჩემ გარშემო ლეგენდარული გარჩევებით ლეგენდარული ბანდიტები იყვნენ დაკავებულები, ცხოვრება „ბოევიკის“ ეპიზოდური პერსონაჟის ყოფას ჰგავდა. ვისთვის უნდა მიგვემსგავსებინა ყიფიანი ხალხურ ფოლკლორში? მზვერავისთვის ხომ არა...

შემდეგ ის იაროსლავლის „შინიკს“ ჩაუდგა სათავეში. ინტერპოლისგან დასამალ უკეთეს ადგილს ვერ ნახავ. ყიფიანში არ შევმცდარვარ. მითი მითის ცხოვრებით ცხოვრობდა, ხოლო ის რჩებოდა იმად, რაც იყო.

ის საფუძვლიანად პასუხობდა ნახევრად სულელურ კითხვებს. ჩვენ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, გადაცემა „საფეხბურთო კლუბის“ ეთერში შევხვდით. ის ნტვ-ს სტუდიაში იჯდა, სასტუმრო „როსიაში“, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა და რომლის მთავარი ღირსება ის იყო, რომ მის უკან კრემლი იყო. იქ ყველა ტელეარხის ოფისები იყო. სტუმრები პირდაპირ ფანჯრის რაფებზე ისხდნენ, თითქოს მათ სუიციდზე ფიქრს სთავაზობდნენ. ყველა იქ იჯდა. თავისი მდგომარეობა მხოლოდ დავითმა შეაფასა:

– რაც თავი მახსოვს, ფანჯრის რაფაზე არასოდეს ვმჯდარვარ, მით უმეტეს – კრემლისკენ ზურგით.

მაშინ ძალიან დელიკატურად მომიშორა. სარეკლამო პაუზაში. 26 წლის ვიყავი და მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად ვიმყოფებოდი, ოკეანეში კი არა, არამედ, მსოფლიოში საუკეთესო აზრების ძალიან რჩეულ ჭაობში, რომელთაც კრუიფი, ლინეკერი და სხვა ოფიციალური პირები გამოთქვამდნენ. ამით ვსუნთქავდი, ვცდილობდი მესწავლა და, რა თქმა უნდა, ზოგჯერ სისულელესაც ვროშავდი. სარეკლამო პაუზის დროს ყიფიანმა მითხრა:

– ვასია, თქვენ ჩემი გესმით? – ეს დავითი გამომემცნაური. აბა, სხვა ვინ დამელაპარაკებოდა ყურთსასმენში აქცენტით, რომლისაც კიკაბიძესაც შეშურდებოდა? –რას ამბობთ, ვასია... აი, სწორედ ასე მითხრა – რას ამბობთ. არ მახსოვს, რას ეხებოდა საუბარი. უბრალოდ, ამიხსნა, რა შეცდომები დავუშვი.

მშვიდად მითხრა, პრივატულად. ეთერში, მთელი ქვეყნის გასაგონად არ უთქვამს. სხვათა შორის, არც გავბრაზდებოდი, არც მაშინ, არც ახლა. სამარცხვინოა, ყიფიანის ფონზე იდიოტად გამოჩნდე? ეს ჩემზე უკეთესებსაც განუცდიათ.

შემდეგ, როგორღაც ერთ მაგიდასთან მოვხვდით. მგონი, ვლადიკავკაზში. თვალს ვადევნებდი, როგორ მეფობდა ის ამ მაგიდასთან. საკმარისი იყო, სიტყვა ეთქვა, რომ ხალხი ჩუმდებოდა. მისი სახე თითქმის არ იცვლებოდა, მხოლოდ თვალები უთამაშებდა.

– რა მოგაქვთ (ამბავს ყვებოდა, როგორც ანეკდოტს, თუ როგორ ჩამოფრინდნენ „შერემეტიევოში“)? ვპასუხობ – ოქრო!

მთელი ბარგი გადაქექეს და მხოლოდ სამი წიგნი აღმოაჩინეს.

– რატომ გვატყუებთ, რა ხუმრობაა, ახალგაზრდავ?

მე ამ ქალს ვეუბნები:

– შესაძლოა, თქვენთვის მაკულატურაა, ხოლო ჩემთვის – ოქრო“.

ისე, რა ხუმრობაა. მან ჩემი სკეპტიკური ღიმილი დაიჭირა და დაამატა:

– ბიჭებს მოხერი მოჰქონდათ, საუბრით უნდა გამერთო...

ის თამაშობდა, როგორც დადიოდა. თამაშობდა, როგორც საუბრობდა. თამაშობდა, როგორც სვამდა. ვიჯექი მაგიდასთან, რომელიც დავით ყიფიანს მიჰყავდა.

იმ ქეიფის ბოლოს, რომელსაც ყურებდაცქვეტილი ვესწრებოდი, მან საოცარი ისტორია მოჰყვა. ძალიან არაჩვეულებრივი, რომელიც დაწვრილებით მახსოვს, ამიტომ, მაპატიეთ, რომ თავს პირველ პირში მოყოლის უფლებას ვაძლევ.

– ერთხელ ახალკაცი გაუშვეს. მას ხომ ხანდახან უშვებდნენ – ყველა ხედავს, გუნდი თამაშობს და მაშინვე ფიქრობენ, რომ ამას ნებისმიერი მოახერხებს. მოდის ახალი მწვრთნელი, ჩვენ მას ვიცნობთ, რა თქმა უნდა, ფედერაციიდანაა გამოგზავნილი, მშიერი თვალებით იყურება... ამბობს:

– დისციპლინა უნდა დავამყაროთ. პირადად შევამოწმებ. ხუთშაბათიდან ბაზაზე კარანტინია, ვინც დაარღვევს, გაირიცხება.

ამ დროს ყველამ იცის (ყიფიანის თვალები იცვლება), რომ ხუთშაბათს თბილისში ჩვენს მეგობარს ქორწილი აქვს და ყველა იქ იქნება.

ყიფიანი ღვინოს სვამს. მაგიდასთან სიჩუმეა.

– არაფრის შეცვლა არ შეიძლება. მან შეკრება დანიშნა, ხოლო ჩვენ ქორწილში წავედით. არა, ჩვენ ვიცით, რომ მნიშვნელოვანი თამაში გველის: ერთი-ორი ჭიქა ღვინო და ღამის ორ საათზე დილომში ბაზაზე მივედით. იქ ბაზის მესერში ფიცრები ამძვრალი იყო და მივდივართ, მე, ჩივაძე, ვიტალიკა, ოთარ გაბელია. ვოვა გუცაევი პირველი შეძვრა, დანარჩენები მივყვებით. ყველა შევძვერით, იქ კი მთავარი მწვრთნელი დგას. გველოდებოდა.

ყიფიანმა ღვინო მოსვა. სრული სიჩუმეა, ყველა იღიმის. ყიფიანი ჩანგლით რაღაცას იღებს და ღეჭავს.

– და რა იყო მერე?

ყიფიანი იღიმება.

– ვასია, მას ხომ ჩვენი გაგდება არ შეეძლო. სხვათა შორის, მიზეზიც არ ჰქონია, მაგრამ ისედაც არ შეეძლო. ის ერთი თვის შემდეგ მოხსნეს, ამ შემთხვევამ მოუღო ბოლო...

– ამაში რა აზრია, დავით დავითის ძევ? ფეხბურთელების ჰეგემონიაა?

ყიფიანმა ღვინო მოსვა. სუფრასთან მხოლოდ მე ვარ ასეთი სულელი.

– ვასია, გესმის? ასეთი შემთხვევებისთვის მეორე მწვრთნელი არსებობს.

მთელი სუფრა დამცინოდა. ყიფიანი დამელოდა და მითხრა – წამოდი, მოვწიოთო... მოწევა მაგიდასთანაც შეეძლო, მით უმეტეს, ცხოვრებაში არ მომიწევია. რაღაც სისულელეზე ვილაპარაკეთ. ყიფიანმა ხომ არ იცოდა, რომ ამ სიცილის გამო არ გავბრაზებულვარ. თუმცა, ყოველი შემთხვევისთვის, ჩემთან ერთად წამოვიდა, რათა თავი ნორმალურად მეგრძნო. აი, ამ შემთხვევაში, მეორე მწვრთნელი ამას თავს ვერ გაართმევდა...

მე ამის შესახებ იმიტომ გიყვებით, რომ დარასელია 30 წლის წინ დაიღუპა. დავით ყიფიანიც ავტოავარიაში დაიღუპა, თუმცა წამით ადრე გული გაუჩერდა. ახლახან ჩემი მეგობრები „საფეხბურთო კლუბში“ დიმა სავინი, ვანია ხმელნიცკი და მიხაილ მელნიკოვი ჩვენს სერიალში დიად გუნდებზე, თბილისის „დინამოზე“ სიუჟეტს აკეთებდნენ.

ეს პროგრამა კი მე უნდა წამეყვანა, სხვათა შორის, ძალიან წარმატებული პროგრამა. თუმცა, დაკავებული ვიყავი.

გადაცემას გამეორებით ვუყურე, თბილისელების შესახებ მასალა ეთერს ასრულებდა. ალალად გეუბნებით, გამიმართლა, რომ გადაცემა არ წავიყვანე. ამ მასალის შემდეგ, ალბათ, ვერ ვისაუბრებდი. მე კვლავ ვნახე, როგორ თამაშობდნენ ისინი, როგორი იყო ყიფიანი.

ზიკო ისვენებდა. ნორჩ მარადონას შეეძლო, მისგან ესწავლა, პიერ ლიტბარსკი იოცნებებდა, რომ მისთვის და არა დარასელიასთვის მიეცათ ის პასები. სოკრატესი, უბრალოდ, ხელს ჩამოართმევდა.

ყიფიანი კი იქ არ იყო. ახლა ეს ადვილი წარმოსადგენია, რადგან ის არც ახლა არის. არ არის.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# საერთაშორისო კინოფესტივალმა გამარჯვებულები დააჯილდოვა

ეკა ირემაშვილი

**თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალმა წლევანდელი მუშაობა დაასრულა, შეაჯამა და გამარჯვებულებიც გამოავლინა. წელს საერთაშორისო კონკურსისთვის 10 ფილმი შეირჩა. ფესტივალის ჟიურიმ საკონკურსო სექციებში საუკეთესო ნამუშევრები შეარჩია და კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილება საზოგადოებისთვისაც გახდა საჯარო. საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული საუკეთესო ფილმი დაჯილდოვდა ოქროს პრომეთეთი და ეს ფილმი გახდა „სიყვარული“, რომლის რეჟისორიც სლავომირ ფაბიცკია. საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული – საუკეთესო რეჟისურისთვის დაჯილდოვდა ვერცხლის პრომეთეთი და მისი მფლობელი გახდა რეჟისორი გიორგი ფარაჯანოვი ნამუშევრით „ყველა წავიდა“.**

კინოფესტივალის 10 წლისთავზე პრომეთეს ქანდაკებამ სახე იცვალა – გია ჯაფარიძის სკულპტურა თამარ კვესიტაძის მიერ დამზადებულმა პრიზმა შეცვალა. ჟიურის სპეციალური აღნიშვნა დაიმსახურა საერთაშორისო კონკურსის მონაწილე ორმა ფილმმა „სარაევოს შვილები“ (რეჟისორი აიდა ბეგიცი) და „გაილიმე“ (რეჟისორი რუსუდან ჭყონია). საქართველო ასევე წარმოდგენილი იყო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების კონკურსშიც. ეს კონკურსი თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში პირველად ჩატარდა და მასში მონაწილეობას იღებდნენ 6 ქვეყნის – საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, ირანისა და რუსეთის ახალგაზრდა რეჟისორების ნამუშევრები. ამ კონკურსში გაიმარჯვა ტატო კოტეტიშვილის ფილმმა „საზამთრო“, რომელმაც მიიღო ფარაჯანოვის პრიზი. ჟიურის სპეციალური აღნიშვნა დაიმსახურა მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსის მონაწილე ფილმმა „შავი თუთა“, რომლის რეჟისორიც გაბრიელ რაზმაძეა. სექციაში „ქართული პანორამა“ წარმოდგენილი იყო 12 ქართული ფილმი: „გოგონა გორიდან“ რეჟისორი ეკა პაპიაშვილი (საქართველო-გერმანია), „დავიწყებული მეფე“ რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძე (საქართველო), „დემოკრატიის შუქურა“ რეჟისორი გოგა ხაინდრავა (საქართველო), „ვიხსენებთ ბალანჩინს“ რეჟისორი ოლიკო ჟღენტი (საქართველო), „ინგლისურის მასწავლებელი“ რეჟისორები ნინო ორჯონიკიძე, ვანო არსენიშვილი (საქართველო), „ლაიტმოტივი“ რეჟისორები რატი ონელი, დავით სევა (საქართველო-აშშ), „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ რეჟისორი თინათინ გურჩიანი (საქართველო-გერმანია), „მონოტონური უფერობა“ რეჟისორი მამუკა ახალაია (საქართველო), „ომის ნაკვალევი“ რეჟისორი თომა ჩაგელიშვილი (საქართველო), „ორი კვირით ადრე“ რეჟისორი პაპუნა მოსიძე (საქართველო), „ორშაბათიდან ორშაბათამდე“ რეჟისორი ვახტანგ ჯაჯანიძე (საქართველო), „ფოცხოეწერი“ რეჟისორი ალექსანდრე კაკაბაძე (საქართველო).'„ქართული პანორამა“ უკვე მეორე წელია საკონკურსო სექციაა და ამ ნომინაციაში საუკეთესო ქართული ფილმი გახდა რეჟისორ თინათინ გურჩიანის ნამუშევარი „მანქანა, რომელიც ყველაფერს აქრობს“. პირობების თანახმად, ქართველი რეჟისორი დაჯილდოვდა გეტერბორგის საერთაშორისო კონკურსზე გამგზავრებით 2013 წლის იანვარში.

ღონისძიების ფარგლებში 130 სრულმეტრაჟიანი, მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმი იქნა ნაჩვენები, ჩატარდა მასტერკლასები და ვორქშოფები სხვადასხვა რეჟისორების მონაწილეობით. ფესტივალში მონაწილე ფილმები კომპეტენტურმა ჟიურიმ შეაფასა, რომელსაც მსოფლიოში ცნობილი ირანელი კინორეჟისორი და ადამიანის უფლებათა დამცველი მოჰსენ მახმალბაფი ხელმძღვანელობდა. წლევანდელი საერთაშორისო ჟიურის შემადგენლობაში გაერთიანდნენ კრისტოფერ ჰემტპონი – ოსკაროსანი სცენარისტი და დრამატურგი (დიდი ბრიტანეთი), ნიკოლა ვადიმოვი – ტელე-კინორეჟისორი (შვეიცარია), დინარა დრუკაროვა – კინომსახიობი (რუსეთი-საფრანგეთი) და ნიკა თავაძე – თეატრისა და კინოს მსახიობი (საქართველო). ფესტივალი ლეგენდარული უნგრელი რეჟისორის იშტვან საბოს ფილმ „კარით“ გაიხსნა და ქართველი რეჟისორის დიტო ცინცაძის ფილმ „შემოჭრით“ დაიხურა.

ფესტივალს მხარში ამოუდგნენ ეროვნული კინოცენტრი, თბილისის მერია და კულტურის სამინისტრო. თბილისის მერიამ კინოფესტივალისთვის 100.000 ლარი გამოყო, კულტურის სამინისტრომ – 50.000 ლარი.

– ამ კინოფესტივალის მთავარი მიზანია, მაყურებელს გააცნოს მსოფლიო და ქართული კინემატოგრაფიის ახალი, მაღალი მხატვრული ღირებულების მქონე ნამუშევრები, მსოფლიო კინოს ახალი ტენდენციები და ხელი შეუწყოს ქართული კინოინდუსტრიის განვითარებას. პროფესიული შეხვედრები, უორქშოპები, მასტერკლასები, რეტროსპექტივები და სხვა ინდუსტრიული ღონისძიებები, რომლებიც ყოველწლიურად იმართება ფესტივალის ფარგლებში, სტიმულს აძლევს ახალგაზრდა კინემატოგრაფისტების ნიჭისა და შემოქმედებითი ხედვის განვითარებას. ჩვენი სურვილია, კინოფესტივალი სამხრეთ კავკასიაში რეჟისორების, პროდიუსერების, გაყიდვების აგენტებისა და დისტრიბუტორების თავშეყრის ადგილი გახდეს. თავისი არსებობის მანძილზე ფესტივალმა საერთაშორისო მასშტაბით დიდი მნიშვნელობა შეიძინა. წლიდან წლამდე მატულობს ფესტივალზე ფილმის წარდგენისა და მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა. ფესტივალის ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ახალი თაობის ევროპელი რეჟისორების სადებიუტო და მეორე სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების საერთაშორისო კონკურსი. საკონკურსო ფილმებს 5 წევრისგან შემდგარი საერთაშორისო ჟიური აფასებს და გამარჯვებულებს ფესტივალის ოფიციალურ პრიზებს გადასცემს. იმის გამო, რომ თბილისის კინოფესტივალი დეკემბერში ტარდება, ჩვენ საშუალება გვაქვს, კონკურსისთვის წლის საუკეთესო სადებიუტო ფილმები შევარჩიოთ, რომლებმაც უკვე მოიპოვეს გარკვეული წარმატება მსოფლიოს სხვა დიდ თუ პატარა კინოფესტივალებზე, – აცხადებს ფესტივალის გენერალური დირექტორი გაგა ჩხეიძე.

ძირითადი საკონკურსო პროგრამის გარდა, ფესტივალის ძირითადი სექციებია „ევროპული კინოს ფორუმი“, რომელშიც გაერთიანებულია ბოლო ორი წლის საუკეთესო ევროპული ფილმები, რომლებიც მსოფლიოს წამყვანი კინოფესტივალების, მათ შორის სან-დენსი, როტერდამი, ბერლინი, კანი, კარლოვი ვარი, ლოკარნო, ვენეცია, სან-სებასტიანი პროგრამებიდანაა შერჩეული. სექციაში „ჰორიზონტები“ გაერთიანებულია ბოლო ორი წლის საუკეთესო ფილმები აზიიდან, აფრიკიდან, ავსტრალიიდან და ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკიდან. „ქართული პანორამა“ წარმოადგენს ქართული კინოს სიახლეებს და ყოველწლიურად ქართველ და უცხოელ მაყურებელს ამ სექციაში უახლეს ქართულ მხატვრულ, დოკუმენტურ და ანიმაციურ ფილმებს წარუდგენს. თბილისის კინოფესტივალმა ბევრ ნიჭიერ ქართველ კინემატოგრაფისტს გაუხსნა გზა მსოფლიო ასპარეზისკენ. სექცია „დამზადებულია გერმანიაში“ უკვე შვიდი წელია გოეთეს ინსტიტუტთან ერთად წარადგენს უახლესი გერმანული ფილმების პროგრამას. სექცია „რეჟისორი ფოკუსში“ ფესტივალის სტუმარი კინორეჟისორის ფილმების მცირე რეტროსპექტივას სთავაზობს მაყურებელს. ფილმების ჩვენების შემდეგ აუდიტორიას ავტორთან შეხვედრის და მისთვის კითხვების დასმის საშუალება ეძლევა. ხშირად მოწვეული რეჟისორი მასტერკლასსაც მართავს სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პროფესიონალებისთვის. ფესტივალის არსებობის მანძილზე ამ სექციას ცნობილი რეჟისორები სტუმრობდნენ. სექცია „სპეციალური ჩვენება“ წარადგენს მათი შემოქმედებიდან შერჩეულ ერთ ან რამდენიმე ფილმს, რასაც მოჰყვება შეხვედრა აუდიტორიასთან. ამ პროგრამით სხვადასხვა დროს აღინიშნა ნატა ვაჩნაძისა და მიხეილ კალატოზიშვილის 100 წლის იუბილე, სერგო ფარაჯანოვის 80 წლის იუბილე, მიხეილ კობახიძისა და ირაკლი კვირიკაძის 70 წლის იუბილე. ფესტივალის ფარგლებში ტარდება ინდუსტრიული სახის ღონისძიება „პიტჩ დოკ“, რომლის ორგანიზატორია დოკუმენტური ფილმების საპროდიუსერო კომპანია „საქდოკ ფილმი“. ეს ღონისძიება საშუალებას აძლევს კონკურსის წესით შერჩეულ მონაწილეებს, ორდღიანი ტრენინგის განმავლობაში დახვეწონ თავიანთი დოკუმენტური კინოპროექტები გამოცდილი პროფესიონალების რჩევების გათვალისწინებით და შემდეგ საერთაშორისო კომისიას წარუდგინონ, რომელიც ცნობილი კინოდოკუმენტალისტების, საერთაშორისო ფონდებისა და ტელევიზიების წარმომადგენლებისგან შედგება.

– სხვადასხვა წლებში ამ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ კინოდოკუმენტალისტები საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, თურქეთიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან. მთლიანობაში ამ ფესტივალმა 500-ზე მეტ რეჟისორს, მსახიობს, კინომცოდნესა თუ პროდიუსერს უმასპინძლა, – აღნიშნავს ფესტივალის ხელმძღვანელი ნინო ანჯაფარიძე.

ფესტივალის მთავარი პარტნიორია ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალი. ფესტივალის ორგანიზატორებს მუდმივად უწევენ კონსულტაციას ბერლინალეს „ახალი კინოს ფორუმის“ დამაარსებლები ერიკა და ულრიხ გრეგორები, აგრეთვე სხვა საერთაშორისო კინოფესტივალების დირექტორები, ცნობილი მსახიობები, პროდიუსერები და ამ სფეროს აღიარებული პროფესიონალები. კინოფესტივალი თანამშრომლობს საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, გოეთეს ინსტიტუტთან და ფრანგულ ინსტიტუტთან და საერთაშორისო გამოცემებთან.

ფესტივალის ფარგლებში შედგა ქართულ კულტურფილმების ცოცხალი მუსიკის თანხლებით ჩვენება. კოტე მიქაბერიძის, სიკო დოლიძის, ვახტანგ შველიძისა და ალექსანდრე ჯალიაშვილის 30-იანი წლების კულტურფილმების მცირე რეტროსპექტივა საქართველოს ეროვნული არქივის კოლექციიდან ცოცხალი მუსიკით გაფორმდა რეზო კიკნაძისა და ანსამბლ „კონსილიას“ მიერ.

– ამ ექსკლუზიურმა ჩვენება-კონცერტმა საზოგადოებას გააცნო მივიწყებული საბჭოთა პროპაგანდისტული ფილმები. ადრეული 30-იანი წლების ნამუშევრებში სრული სერიოზულობით გადმოცემული საჭირბოროტო საკითხები დღევანდელი მაყურებლისთვის, შესაძლოა, ღიმილის მომგვრელიც აღმოჩნდა. პროგრამის ოთხივე მოკლე ფილმს ცოცხალმა მუსიკალურმა გაფორმებამ განსაკუთრებული ხიბლი შესძინა, – განმარტა ნინო ანჯაფარიძემ.

hჰჯცღჯჰღბ ,



**შვეულად**: 1. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 2. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 3. ოსმალეთის მმართველთა ტიტული; 5. ორი ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირი; 7. ჩინელებით დასახლებული ქალაქის უბნების სახელწოდება აშშ-ში; 8. მსხვილი სააქციო გაერთიანება; 12. ყველისგულიანი ქართული ორცხობილა; 14. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. ამერიკელ მწერალ ოგენრის ნამდვილი გვარი; 17. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა; 19. მუსულმანთა რელიგიური მსახური; 20. ფულის ერთეული სამხრეთ კორეაში.

**თარაზულად**: 5. „ფორმულა-1“-ში მონაწილე „რენოს“ გუნდის მფლობელი; 6. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. მდინარე ტოკიოში; 10. ღვინის რაოდენობის საზომი ძველებური ერთეული, უდრიდა დაახლოებით ერთ ლიტრს; 11. ფქვილის მარცვლეულის ვაჭარი ძველად; 13. ცნობილი ესპანელი არქიტექტორი; 15. ზღვისპირა პლაჟი ლოს-ანჯელესში; 18. ფრანგი მათემატიკოსი, მხაზველობითი გეომეტრიის ფუძემდებელი; 21. ქალაქის თავი ჩეხეთში; 22. სწრაფად მზარდი, გუტაპერჩის შემცველი ჩინური ხე; 23. არყის, რომის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

**ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმღც.ყც,ეჯბ hჰჯცღჯჰღც,ბც გფცეlც,ბ5**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „კრახუნა“; 2. გერგეტი; 3. ერზაცი; 4. გოეთე; 5. სელადონი; 7. კიი; 11. სონეტი; 15. კატრანი; 16. კუკავა; 17. რუპია; 18. ამება; 20. როდეო; 22. ჯაკო.

**თარაზულად:** 6. „რიბოკი“; 8. თემშარა; 9. ბიენალე; 10. „ხემლისი“; 12. მოცვი; 13. ელადა; 14. ოპონენტი; 19. ლოტბარი; 21. დურუჯი; 23. „მარკა“. 24. აიმაკი; 25. ენოთეკა; 26. პაკჰაუზი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. საყდარი; 2. კორომი; 3. ფოლკნერი; 4. რეფერატი; 7. მარგალიტი; 8. „ბუდეშური“; 12. ნიშადური; 14. „კადილაკი“; 16. პენალტი; 17. ღირსება; 19. ცემი; 20. ვანი.

**თარაზულად:** 5. ვაპორეტო; 6. ოჩოპინტრე; 9. საჰარა; 10. „მითანა“; 11. ოდესა; 13. ნიყვი; 15. „ბაიერი“; 18. სესხი; 21. პარასკევი; 22. ლებარდე; 23. მიამიტი.

# ეროვნული მუზეუმი დასკვნით ღონისძიებას გამართავს

ეკა ირემაშვილი

**19 დეკემბერს საქართველოს ეროვნულ მუზეუმი, გოეთეს ინსტიტუტი და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმები ერთობლივად წარმოადგენენ გამოფენის „მუზეუმების კუნძული ბერლინში და მუზეუმების უბანი თბილისში“ დასკვნით ღონისძიებას და სამომავლო გეგმების პრეზენტაციას.**

ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი ანა ვერულაშვილი აცხადებს:

– 2010-2012 წლებში საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმებმა ევროკავშირის დაძმობილების პროგრამის – თვინინგ პროჯექტის ფარგლებში განახორციელეს პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინსტიტუციონალურ განვითარებას. პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო თბილისში სამუზეუმო უბნის განვითარების ხელშეწყობა. 19-22 სექტემბრის ჩათვლით გოეთეს ინსტიტუტის ინიციატივითა და ორგანიზებით, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმებთან ერთად, გაიმართა მასშტაბური საერთაშორისო კონფერენცია „რას ნიშნავს მუზეუმი დღეს? წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა“ და გამოფენა „მუზეუმების კუნძული ბერლინში და მუზეუმების უბანი თბილისში“. მომავალი წლიდან თბილისის გოეთეს ინსტიტუტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმები გეგმავენ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სპეციალისტების პროფესიულ ზრდას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას; სახელმწიფო, კერძო დახელოვნების სექტორების წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის სტიმულირებასა და დისკუსიას თემაზე „მუზეუმები და მათი როლი ურბანულ, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში“.

პროექტის დასკვნითი ნაწილის ღონისძიების წარმოდგენასთან ერთად საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში წარმოდგენილია გამოფენა „მრავალფეროვანი აბრეშუმის გზა“ – „ჩინური თანამედროვე ხელოვნების გამოფენა“, რომელიც ჩინეთის თანამედროვე ხელოვნებას აერთიანებს.

– როგორც ცნობილია, აბრეშუმის გზა მოიცავდა სამხრეთ, ახლო და დასავლეთ აზიის ტერიტორიას, რომელიც ევროპის და ჩრდილო აფრიკის ქვეყნებამდე აღწევდა. იგი აკავშირებდა უძველეს ჩინეთის ცივილიზაციასა და დასავლურ სამყაროს. აბრეშუმის გზამ შემოუნახა ისტორიას ბრწყინვალე ცივილიზაციები და დაგვიტოვა უზარმაზარი კულტურული მემკვიდრეობა. ორი ათასი წლის განმავლობაში, აბრეშუმის გზას არ დაუკარგავს თავისი მომხიბვლელობა. „მრავალფეროვანი აბრეშუმის გზის“ პროექტში 100 თანამედროვე ჩინელი ხელოვანი აქტიურად მონაწილეობდა. თანამედროვე ხელოვანთა ჯგუფმა თავიანთი ტურნე ჩინეთის კულტურული მემკვიდრეობის მონახულებით, ხალხური ტრადიციების შესწავლითა და შეთვისებით დაიწყეს. გამოფენა გამოხატავს აბრეშუმის გზის კულტურულ იდენტობასა და მის განუმეორებელ შარმს. ნამუშევრები ნათლად წარმოადგენენ ჩინეთის კულტურას, ხალხურ ტრადიციებსა და ისტორიულ მემკვიდრეობას. ამ ექსპოზიციის მიზანია, ახალ ეპოქაში, ხელი შეუწყობს აბრეშუმის გზის აღორძინებას, მხარი დაუჭიროს და განამტკიცოს ჩინეთსა და ევროპას შორის მეგობრული, კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები, – აღნიშნავს ანა ვერულაშვილი.

გამოფენა ჩინეთის კულტურის დღეების ფარგლებში დაიგეგმა და 24 დეკემბრამდე გაგრძელდება.

# ვახტანგ ყოლბაია: ბურჯანაძის ფიგურა პოლიტიკაში კვლავ მოთხოვნადია“

დასაწყისი მე-7 გვერდზე

იურისდიქციაში დაბრუნებას დათანხმდებიან. გარკვეული მოლოდინი აქვთ, სააკაშვილს ჰქონდა სერიოზული ლეგიტიმურობა. მან ეს ვერ გამოიყენა. ყველა მისი ნაბიჯი პიარზე იყო გათვლილი, მათ შორის აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობების აღდგენის საკითხიც. სააკაშვილს კონფლიქტის მოგვარება კი არ უნდოდა, დეკლარირებდა მხოლოდ მიწას, ტერიტორიებს და არა ხალხებს შორის ურთიერთობებისა და ნდობის აღდგენას. ყალბი იყო მისი დეკლარაციები კონფლიქტის მოგვარების კუთხით. ამ ხელისუფლებას აქვს მაღალი ლეგიტიმურობა, ვუსურვებ ამ ხელისუფლებას, მეტად გაბედული იყოს. ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი როცა მიიღეს, მისი განხილვა იყო და მეც ვესწრებოდი, არ შეიძლება, ერთი ხელით კაცს ეფერებოდე და მეორე ხელით მათრახი გქონდეს მომარჯვებული. ამ კანონის სიკეთე, რთულია, დაინახო, რადგან ისეთი რამ დევს მასში, რომელიც აფხაზებისთვის საინტერესო არ არის და სახიფათოა, კანონი უნდა იყოს გათვლილი იმაზე, როგორ მიიღებს ამას მეორე მხარე. დასავლელი ექსპერტების მიერ დაწერილი კანონია, რომელიც არ იცნობს ქართველებისა და აფხაზების ბუნებას. აფხაზ ექსპერტებს შევხვდი ევროპაში. ახალი ხელისუფლების მიმართ მოლოდინი აქვთ, გარკვეული იმედი, ის იციან, რომ ჩვენ არ ვცნობთ მათ დამოუკიდებლობას, მაგრამ ურთიერთობებში აქვთ იმედი, ფსიქოლოგიური საკითხები აქვთ, პატივისცემა იქნება მათი მოლოდინისადმი. ახალი ხელისუფლების საგარეო კურსი არ შეიცვლება, ითქვა, რომ ეს რევიზიას არ ექვემდებარება. ამის გაგონება უნდათ დასავლეთში და ბზეჟინსკის ვარაუდი, რომ რუსეთი საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლას გააძლიერებს ევრაზიულ კავშირში მის შესაყვანად, ახალი ხელისუფლების საგარეო მიმართულებაში ურყეობაზე, ამაზე მიუთითებს. მეტი პატივისცემა უნდა გამოხატოს დასავლეთმა საქართველოს მოსახლეობის არჩევანისადმი.

***— ნაციონალების მხარდამჭერ პრესაში ადრეც და ახლაც ნინო ბურჯანაძე დასახელებულია, როგორც განხეთქილების შემტანი კოალიცია „ქართულ ოცნებაში“. ახლა საუბარია იმაზე, რომ შესაძლოა ივანიშვილმა ბურჯანაძე საპრეზიდენტო კანდიდატად დაასახელოს, ეს კი კოალიციის ზოგიერთ სუბიექტს არ უნდა. რას ფიქრობს დემოკრატიული მოძრაობა საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით?***

— განხეთქილების ვაშლის როლის შესრულება არასოდეს გვინდოდა. პირიქით, გაერთიანების მომხრე პოლიტიკური ძალა ვართ. ამის დასტური იყო ჩვენი უარი საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე. კოალიციაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ჩვენი პოლიტიკური ძალისადმი. ერთ აზრზე ყოფნას ვერავის მოვთხოვთ. ჩვენ ჯანსაღი კრიტიკის მომხრე ვართ, ამავე დროს, მორატორიუმი გვაქვს გამოცხადებული ახალი ხელისუფლების კრიტიკისადმი. ქვეყანას სარგებლობა უნდა მოუტანოს ამ არჩევანმა, კოალიციისადმი გამოცხადებულმა ნდობამ. იმაზე ვერაფერს გეტყვით, აპირებს თუ არა ივანიშვილი ბურჯანაძისთვის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შეთავაზებას კოალიციის სახელით. ამაზე არ მიდის კონსულტაციები, მაგრამ ჩვენ ამიერიდან ყველა ტიპის არჩევნებში მივიღებთ მონაწილეობას, აქამდე სააკაშვილის რეჟიმის დროს არჩევნები ყალბდებოდა და პარტიებს დემოკრატიული და თანაბარი ბრძოლის საშუალება არ ჰქონდათ. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი გვაქვს, ამავე დროს, კარგი იქნება, თუ სხვა პოლიტიკური ძალებიც დაგვიჭერენ მხარს. ბურჯანაძის ფიგურა კვლავ მოთხოვნადია პოლიტიკაში. მისი რეიტინგი, აგვისტოსთან შედარებით, ორჯერ გაიზარდა. მისი პერსონის გარშემო იქნება თუ არა კონსოლიდირებული სხვა პარტიები, ამას მომავალი გვიჩვენებს, როგორც კი ქალბატონი ნინო მიიღებს გადაწყვეტილებას ამ არჩევნებში მონაწილეობაზე, აუცილებლად წინასწარ კონსულტაციებს გაივლის სხვა პოლიტიკურ ძალებთან.

***— საუბარია დემოკრატიული მოძრაობის ალიანსზე ოქრუაშვილის პარტიასთან. არის საიმედო პარტნიორი ოქრუაშვილი თქვენი პოლიტიკური ძალისთვის?***

— არაკორექტული იქნება, მე ვისაუბრო მის საიმედოობაზე, მაგრამ ალიანსები ჩვენთან ახლა არ განიხილება, იმის გამო არა, რომ ბატონი ირაკლი დღეს სასამართლოს წინაშეა, არამედ იმიტომ, რომ ალიანსები საერთოდ არ განიხილება ამ ეტაპზე არავისთან. სურვილის დონეზე ურიგო არ იქნება, ახლო პოლიტიკური ურთიერთობა და თანამშრომლობა „ქართულ ოცნებასთან“ გვქონდეს.

# ქერარ დეპარდიეს ღია წერილი საფრანგეთის მთავრობას



საფრანგეთში ცნობილ მსახიობ ჟერარ დეპარდიესთან დაკავშირებით, სკანდალი ყოველდღიურად მძაფრდება. რამდენიმე დღის წინ დეპარდიემ განაცხადა, რომ ის საფრანგეთს ტოვებს და ბელგიას მოქალაქეობის თხოვნით უკვე მიმართა. ამ განცხადებას საფრანგეთის ხელისუფლება უარყოფითად გამოეხმაურა. პრემიერმა ჟან-მარკ ეირომ დეპარდიეს საქციელს „საცოდავი“ უწოდა.

დეპარდიეს სახლი პარიზში აუქციონზე გავიდა, მსახიობმა კი სახლი ბელგიის სოფელ ნეშანში, რომელიც საფრანგეთის საზღვრიდან სულ რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს, უკვე შეიძინა. ჟერარ დეპარდიემ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა მდიდრების წინააღმდეგ გადასახადები გაზარდა.

ჟერარ დეპარდიემ საფრანგეთის პრემიერმინისტრს ღია წერილით მიმართა და განაცხადა, რომ მას არანაირი სურვილი არ აქვს, მიღებული ჰონორარების ერთი მესამედი საფრანგეთის ხელისუფლებასგადაუხადოს.

„ვინ ხართ, თქვენ ბატონო პრემიერმინისტრო, რომ მე განმსაჯოთ? მე გიბრუნებთ თქვენ ფრანგულ პასპორტს და სოციალურ ბარათს, რომლითაც არასდროს მისარგებლია. ჩვენ ამიერიდან ერთი სამშობლო აღარ გვაქვს. მე ნამდვილი ევროპელი ვარ, მსოფლიოს მოქალაქე. მე მივდივარ, მანამდე კი გადასახადების 85%-ი უკვე გადავიხადე.

45 წლის მანძილზე მე ბიუჯეტში 145 მილიონი ევრო შევიტანე, შევქმენი 80 სამუშაო ადგილი, ასე რომ ჩემს საქციელს საცოდავს ვერ ვუწოდებ“,-განაცხადა დეპარდიემ.

პრემიერ-მინისტრს თავისი სიტყვების განმარტება მოუხდა. იგი აცხადებს, რომ მან „უსუსურად“ შეაფასა დაპარდიეს კონკრეტული საქციელი და არა პიროვნება. მისი თქმით, ჟერარ დეპარდიე საფრანგეთის უდიდესი მსახიობია.

# სამყაროს დასასრულის მაცნეები დააკავეს

ჩინეთში ფართომასშტაბიანი ოპერაციის შედეგად 100-ზე მეტი ადამიანი დააკავეს, რომლებიც სამყაროს დასასრულის გარდაუვლობის შესახებ ხმებს ავრცელებდნენ. როგორც უცხოური მედია ავრცელებს, დაკავებულთა უმრავლესობა აკრძალული, კვაზიქრისტიანული სექტის – „ყოვლისშემძლე უფლის ეკლესიის“ წევრები არიან. ადგილობრივმა პოლიციამ დაკავებულებისგან ამოიღო გავრცელებისთვის განკუთვნილი ფურცლები, დივიდიზე ჩაწერილი სხვა საინფორმაციაო მასალები, რომლებიც აპოკალიფსისის თემას ეხება. სექტა „ყოვლისშემძლე უფლის ეკლესია“ ჩინეთში 90-იანი წლების დასაწყისში დაფუძნდა, მისი წევრები ქადაგებენ, რომ მეორედ მოსვლისას ქრისტე სამყაროს ჩინელის სახით მოევლინება.

შეგახსენებთ, რომ 21 დეკემბერს მაიას ტომის მიერ შედგენილი კალენდარი სრულდება. ადამიანების ნაწილმა მიიჩნია, რომ ეს „სამყაროს აღსასრულს“ მოასწავებს. ამ მოსაზრებას მეცნიერები არ ეთანხმებიან. აღნიშნულმა ხმებმა პანიკა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გამოიწვია, „მოახლოებული საფრთხის“ შესახებ საქართველოშიც ხშირად საუბრობენ.

# იაპონიის მომავალ პრემიერს ობამა და ბუში ერთმანეთში აერია



იაპონიის მომავალმა პრემიერმა, ჟურნალისტებთან გამოსვლისას, აშშ-ის დღევანდელ პრეზიდენტად, ბარაკ ობამას ნაცვლად ჯორჯ ბუში მოიხსენია. პრემიერი მედიას ამერიკის პირველ პირთან სატელეფონო საუბრის შემდეგ წარუდგა და განუცხადა, რომ რამდენიმე წუთის წინ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ესაუბრა. ამის შესახებ ინფორმაციას „ფრანს პრესი“ ავრცელებს.

2006-07 წლებში მომავალ პრემიერ აბეს უკვე ეკავა იაპონიის პრემიერ-მინისტრის პოსტი და ამ პერიოდში ხშირად ეკონტაქტებოდა აშშ-ის მაშინდელ პრეზიდენტს, ჯორჯ ბუშ უმცროსს. როგორც ჩანს, შეცდომაც ამით იყო განპირობებული, – წერს პრესა. აბემ ამ შემთხვევაში დაშვებული შეცდომა სწრაფად, ღიმილით გამოასწორა.

ათწუთიან საუბარში მხარეებმა იანვრის დაგეგმილი შეხვედრა განიხილეს, რომელიც ჩრდილოეთ კორეის მიერ რაკეტის გაშვების საკითხს, ამერიკული საზღვაო ქვეითთა ბაზის ფუტემადან გადატანას და სხვა სტრატეგიულ საკითხებს შეეხება. სატელეფონო საუბარი აშშ-ის პრეზიდენტის ინიციატივით შედგა.

შეგახსენებთ, რომ იაპონიის საპარლამენტო არჩევნებში ლიბერალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს, ყოფილი პრემიერის შინზო აბეს თაოსნობით. შესაბამისად, აბე პრემიერის პოსტს კიდევ ერთხელ დაიკავებს. „ლიბერალ-დემოკრატთა პარტია“, კოალიციურ პარტნიორ „კომეიტოს“ პარტიასთან ერთად, პარლამენტში დეპუტატების ორი მესამედით იქნება წარმოდგენილი. რაც შეეხება ამჟამინდელ მმართველ პარტიას „ახალი დემოკრატები“, მათ, დასავლური პრესის ინფორმაციით, „ლიბერალ-დემოკრატებს“ დანაპირები ღირსეული კონკურენცია ვერ გაუწიეს და საბოლოო შედეგებით, მესამე ადგილზე გავიდნენ. მოქმედმა პრემიერმა იოსიხიკო ნოდამ გადადგომის შესახებ არჩევნების დამთავრებისთანავე განაცხადა.

# ბელორუსიაში სამხედრო კომუნიზმის ერა იწყება



ბელორუსიის პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს განცხადებით, ნებისმიერმა საწარმომ ბელორუსიაში ისე უნდა იმუშაოს, როგორც „ომის დროს“.

ბელორუსიის პრეზიდენტმა უკვე მესამე საჩვენებელი გამოსვლა მოაწყო „ბელეგპრომის“ კონცერნში, მან ხმაურით და სკანდალით გაათავისუფლა ხელმძღვანელობა, ახალ ხელმძღვანელობას კი მოუწოდა დღედაღამე იმუშაონ.

„უნდა იმუშაოთ, როგორც ომის დროს, დღელამეში სამ-ოთხ სმენაში. აიღეთ მართვა თქვენს ხელში და რკინის მარწუხებით იმოქმედეთ, შტურმით უნდა აიღოთ სიმაღლეები“,-განუცხადა ლუკაშენკომ „ბელეგპრომის“ ახალ ხელმძღვანელობას.

რამდენიმე დღის წინ ბელორუსიის პრეზიდენტმა ასეთი საჩვენებელი გამოსვლა მოაწყო საწარმო „კამვოლსა“ და „მოგილევდერვში“.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ბელორუსიაში „სამხედრო კომუნიზმის“ ერა დაიწყო.

# სამხრეთ კორეის პრეზიდენტი პირველად, შესაძლოა, ქალი გახდეს

სამხრეთ კორეაში წინასაარჩევნო კამპანიის ბოლო დღეა. ოთხშაბათს ქვეყანა ახალ პრეზიდენტს აირჩევს. გამოკითხვების თანახმად, პან კი ხესა, რომელიც მმართველ პარტიას წარმოადგენს და გაერთიანებული დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელს მუნ შჟე ინომს, გამოკითხულთა თითქმის თანაბარი რაოდენობა უჭერს მხარს. გამარჯვების შემთხვევაში პანი, რომელიც ქვეყნის ყოფილი ლიდერის პაკ ჩონ ხის ქალიშვილია, სამხრეთ კორეის პირველი ქალი პრეზიდენტი გახდება. პანს ხშირად აკრიტიკებენ მისი მამის მემკვიდრეობის გამო, მის მეტოქე მუნს კი-ყოფილ პრეზიდენტ ნო მუ ხიონომთან მჭიდრო კავშირების გამო. ქვეყანას ამ დროისათვის ლი მიონ ბაკი მართავს, რომელიც კანონის თანახმად ვალდებულია ეს თანამდებობა ერთი ვადის დასრულების შემდგომ დატოვოს. ბი-ბი-სის ცნობით, გუშინ პრეზიდენტობის ორივე კანდიდატი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ქვეყნის არაერთი ქალაქში იმყოფებოდა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# ცფვუქჯდბფვჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი ორგანიზაციის დარბაზის ერთ-ერთი უძველესი წევრი, ზურაბ ჭავჭავაძის მიერ განახლებული გაზეთ „ივერიის“ ყოფილი რედაქტორი

## დავით (ჩინო) აბაშიძე



ჩინო იყო იშვიათი ერუდიციის და ენციკლოპედიური ცოდნის მქონე ისტორიკოსი, სახელოვანი მწერლის გრიგოლ აბაშიძის ვაჟი. მსგავსი სალად მოაზროვნე, დიდი იუმორით გამორჩეული ინტელექტუალური ადამიანის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართველი საზოგადოებისათვის.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ცაგარეიშვილთა საგვარეულო კავშირი თანაუგრძნობს კავშირის საპატიო წევრს მამა კონსტანტინეს ძმის

**კობა ცაგარეიშვილის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

*საგვარეულო კავშირის გამგეობა.*

**ცფვუქჯდბფვჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7 რდბპბს უფპლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 19 დეკემბერი**

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ"" ოსურ"" სომხურ"" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00**, **10.00**, **12.00**, **14.00**, **16.00**, **19.00**, **20.00**, **01.10** "მოამბე" **10.30** "დილის საუბარი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.00** "მოამბე" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ.**"კვალდაკვალ"** **17.00** დ/ფ. "მეცნიერება ფილმებში" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ.**"საიდუმლო გამოძიებანი"** **21.00** ტ/სერ.**"სპირალი"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "სიბემოლი" **23.40** მხ/ფ**"ესროლე"**(მ.ბელუჩი) **01.30** მხ/ფ **"სირიანა"** (მ. დეიმონი) **03.40** მხ/ფ "დავიწყებული გოგონები" (ტიტ.) **1-2** სერ. **05.30** დ/ფ. "100 უდიდედი აღმოჩენა" **23.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. შესვენებისას: "ვიქტორინა"

**08.00** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00**, **20.00**, **23.00** "ბრიფინგის დრო" **11.00** დ/ფ "სიცოცხლე" მე-**6** ნაწილი **12.00** საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" მე-**8** ნაწილი **22.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **00.00** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** საქართველოს პარლამენტის სხდომა (სამშ. **18.12.12**-ის დაიჯესტი)

**08.00** ან.ფ. "პიტერ პენი და მეკობრეები" **09.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00** ქრონიკა **09.15** ან.ფ. "სამსონი და ნეონი" **10.00** სერ.**"იღბლიანი მოახლე"** **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. **"კამელოტი"** **14.45** სერ. **"თვალი არ მომაცილო"** **15.50** სერ. **"მოჯადოებული"** **17.40** სერ. **"მეწამული ცა"** **19.05** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ქ.მხ/ფ:**"გაღმა ნაპირი"** **23.50** იმედის ტალღა – **2** (გ/ჩ) **01.15** მხ/ფ **"უკანასკნელი ლეგიონი"** (ა. რაი) **02.55** მხ/ფ **"გამოსასყიდი"** (პ.ბროსნენი) (ტიტ.) **04.30** მხ/ფ **"უცხოპლანეტელი – 3"** (ს. უივერი) (ტიტ.) **06.20** მუსიკა

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.**"ქალის მსხვერპლი"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **20.00**, **21.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** "შუა დღე" **15.30** შერეკილები **17.00** სერ.**"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ.**"მგზნებარე გული"** **19.50**, **20.05** სერ. **"ღირსება და ამბიცია"** **22.00** საქართველოს ვარსკვლავი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.00**, **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05**, **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.30** მხ/ფ **"რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00**, **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05**, **18.55**, **21.55**, **22.55**, **00.25** ისტორიის დღიური **10.10**, **19.00**, **22.00**, **00.05**, **02.30** სიახლენი **10.35**, **21.20** ლექსით ქებათა ქება **10.40** შარავანდედი **11.05** სალბუნი **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **13.15** კონცერტი - ნატო გელაშვილი **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.15** მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დოკ/ფ "ქართული მხედრობა პოლონეთში" **16.45** კვირიაკე **17.50** დებიუტი **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.10** დეკორატიული ფლორა **18.25** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"მე დავბრუნდები"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** გზა, რომლითაც ვიარე **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი" **23.30** დოკ/ფ "ვარძია" **00.30** მხ/ფ **"ჰამლეტი"** I ნაწ.

მაესტრო **07.00**, **08.00**, **09.00**, **10.00**, **11.00**, **12.00**, **13.00**, **14.00**, **15.00**, **16.00**, **17.00**, **18.00**, **19.00**, **20.00**, **21.00**, **00.00**, **01.35**, **04.25**, **06.00** ახალი ამბების კოლაჟი. **07.30**, **08.20**, **10.30**, **12.30**, **13.30**, **15.30**, **16.30**, **18.40**, **05.40**, **06.35** უცხოეთის ამბები. **08.30**, **09.15** შალვა რამიშვილის "დილა". **11.30**, **22.00**, **01.15** ყოველდღიური ამბები. **14.05** მაესტროს პრესკლუბი. **17.10**, **05.00** თოქ-შოუ "პირდაპირი საუბარი". **19.05**, **00.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი". **20.05**, **02.10** თოქ-შოუ "არგუმენტები". **22.20**, **02.55** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი". **23.45**, **04.10** აკრედიტაციის გარეშე.

**ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 dekemberi


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6644
ევრო — 2,1571
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6755
რუსული რუბლი — 5,4126

**ამინდის პროგნოზი 19 დეკემბრისთვის**

აღმოსავლეთ საქართველო: დღისით თოვლი, ქარი, დღისით — -1 -4, ღამით — -4 -6.
დასავლეთ საქართველო: დღისით წვიმა, დღისით — 7-9, ღამით — 4-6
სამხრეთ საქართველო: დღისით მოღრუბლულობა, დღისით — 0 -3, ღამით — -3 -5





# 26 დეკემბრიდან

## სერია დიდი ქართველები

„ახალ თაობასთან“ ერთად

## ვახტანგ მეექვსე

ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი






# მალე!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ოქროს ხანა
სამტომეული

# მალე! მალე! მალე!

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები


# ბერლუსკონის 49 წლით უმცროსი ცოლი მოჰყავს

იტალიის სკანდალურად ცნობილ ყოფილ პრემიერს სილვიო ბერლუსკონის ცოლი მოჰყავს. მან ოფიციალური განცხადება ნიშნობის შესახებ უკვე გააკეთა. მისი რჩეული 28 წლის ფრანჩესკა პასკალეა. ინფორმაცია ამის შესახებ იტალიური გაზეთი „მატტინო“ ავრცელებს.

„ბოლოს და ბოლოს თავს უკვე მარტოსულად არ ვიგრძნობ. ჩვენ შორის 49-წლიანი სხვაობაა. იგი 28 წლისაა. მყარი მორალური პრინციპები აქვს. იგი ჩემთვის ძალიან ახლოა, მე მასთან კარგად ვრძნობ თავს“, — განაცხადა ბერლუსკონიმ.



პასკალე წარმოშობით ნეაპოლიდანაა და იგი პრემიერის მხარდამჭრ ჯგუფ „სილვიო მოგვენატრეშია“ გაწევრიანებული.

76 წლის ყოფილი პრემიერის განცხადებით, მათ შორის სხვაობა 49 წელი „ცოტა გადამეტებულია“, „თუმცა პასკალე ახლა ნაკლებად მარტოდ გრძნობს თავს“, — აცხადებს ბერლუსკონი. ფრანჩესკა პასკალეს და სილვიო ბერლუსკონეს რომანზე იტალიაში დიდი ხანია ლაპარაკობენ. პასკალე თავდაპირველად ბერლუსკონის „თაყვანისმცემლების კლუბს“ ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი მის საარჩევნო შტაბში გააგრძელა მოღვაწეობა. იტალიური მედიის ინფორმაციით, ამჟამად ბერლუსკონი თავის მეორე მეუღლეს ვერონიკა ლარიოს შორდება, რომელთანაც ის 20 წლის განმავლობაში ცხოვრობდა.

გ. მ.

## h3xцex3лb ფ

**შვეულად**: 1. ინკუბატორში გამოჩეკილი წიწილების გამოსაზრდელი მოწყობილობა; 2. ზღვისპირა კურორტი ლიტვაში; 3. დიდი დასადგამი სარკე; 4. მკვეხარა, ტრაბახა ადამიანი; 5. კარსტული მღვიმე აფხაზეთში; 7. უკრაინული ბორშჩი; 11. იაპონური მსუბუქი ავტომობილი; 15. ძველად ნაყიდი ან ნაჩუქარი მოსამსახურე მოახლე ქალი; 16. მინერალური წყალი სამეგრელოში; 17. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 18. დადგენილი წილი, ნორმა; 20. წყლის საქაჩი მოწყობილობა; 22. ხმელთაშუა ზღვისპირა კურორტი საფრანგეთში.

**თარაზულად**: 6. ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში; 8. იაფფასიანი ადგილი თეატრში; 9. ტკბილი წვენი, რომელსაც ზოგიერთი მცენარე გამოყოფს; 10. ძვლისმაგვარი ნივთიერება, კბილის შემადგენელი ნაწილი; 12. უოლტ დისნეის სრულმეტრაჟიანი მულტფილმი; 13. ხელოვნური სარწყავი არხების სახელწოდება შუა აზიაში; 14. კაფე-ბარი საცეკვაო დარბაზით; 19. ანგლიკანური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი; 21. წყალგარეული ღვინო; 23. ყველაზე დიდი მდინარე ევროპაში; 24. შეწეული სტრიქონი; 25. მათემატიკის ნაწილი; 26. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი უმსხვილესი ამერიკული ფირმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## fcnhjghjuyjpb

!( ლტ‌ისტ3,ჰბცსდბც

·დტჯფ3
უფბსდფჟბცობყტს=

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — საქმე გაქვთ, არც უფულობას უჩივით. **ტყუპები** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **კირჩხიბი** — სიყვარულს იპოვით, გახარებული ხართ. **ლომი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ქალწული** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **სასწორი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ღრიანკალი** — ახალი საქმე გაამართლებს, კმაყოფილი დარჩებით. **მშვილდოსანი** — დამშვიდდით, ნუ აზვიადებთ, საქმე არც ისე ცუდად არის. **თხის რქა** — ყურადღების ცენტრში ხართ, სხვები გბაძავენ. **მერწყული** — შედით სხვის მდგომარეობაში, იყავით მიმტევებელი. **თევზები** — არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ.

უბცეჰდტ,ს
,ტლყბტჰ ლქტც=



# მსოფლიო ჩემპიონატისთვის ერთი სტადიონი მზადაა

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის პირველი სტადიონი საზეიმოდ გახსნა. ქალაქ ფორტალეზაში გამართულ ცერემონიალს ქვეყნის პრეზიდენტი დილმა რუსეფიც დაესწრო.

ფორტალეზას „კასტელაო არენა“ პირველია იმ ორი სტადიონიდან, რომელთა მშენებლობაც წელს უნდა დასრულდეს. მეორე არენის, ბელუ ორიზონტეს მინეირაოს პრეზენტაცია 21 დეკემბერს გაიმართება.

— ჩვენ მხოლოდ საფეხბურთო მინდვრებზე გამარჯვება კი არა, მშვენიერი სტადიონების აგებაც შეგვიძლია. ეს სარბიელი ამის ნათელი დადასტურებაა, — განაცხადა დილმა რუსეფმა.

ოფიციალური ინფორმაციით, კასტელაოს ასაგებად 249,18 მილიონი დოლარი დაიხარჯა. არენის ტევადობა 67.000 და ის მსოფლიო ჩემპიონატის ექვს შეხვედრას უმასპინძლებს, მათ შორის ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთ შეხვედრას პირველ ეტაპზე. ამას გარდა „კასტელაოზე“ ერთი მერვედფინალი და ერთი მეოთხედფინალი გაიმართება. გადაწყვეტილია, რომ „კასტელაო“ ასევე მიიღებს ფიფას კონფედერაციათა თასის საგაისო გათამაშების სამ შეხვედრას, მათ შორის 19 ივნისს დანიშნულ ბრაზილიისა და მექსიკის ნაკრებთა მატჩს. ფიფას ოფიციალური ინფორმაციით, დედაქალაქ ბრაზილიაში, რესიფეში, რიო დე ჟანეიროსა და სალვადორში სტადიონების მშენებლობა მარტამდე უნდა დასრულდეს, დანარჩენი არენები კი ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა ზაფხულში უნდა ჩაიბაროს.

მ. ჟ.